საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 ივლისი. 2016 წ. №138 (8030), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

კეთილგონიერო, წინმასაქერალო ამომრჩეველო,

მნვალებელ და სისხლისმწოველ დამნაშავე ნაციონალებს – ცივი უარი!

ოდესიდან წაქეზებული და ყოფილი პირველი ლედისგან მოკლეკალთაგადაფარებული ნაციონალები ისე უტიფრად ეწევიან წინასაარჩევნო პროპაგანდას და ისე თავხედურად ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, თითქოს მთელი ცხრა წელიწადი ფრთიანი ანგელოზები იყვნენ და თუ რამ ცუდი მოხდა ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში, ეს თვითონ ხალხის ბრალია, და ამიტომ თავად კი არ ადგანან მონანიების გზას, პირიქით, ხალხს ადანაშაულებენ და ჩაწიხლული ხალხის მხრიდან მონანიების ფასად ცხრაწლიანი უსამართლობისგან ჩახრინწული ხმების გამოტყუებით არიან დაკავებული.

იხ. 2 გვ.

პრეზიდენტმა ქსოვა შეწყვიტა და პოლიტიკურ ინტრიგებს ხლართავს

ქართველ დიპლომატთა თავყრილობა თბილისში

გუშინ პარლამენტში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა შეხვედრა — ამბასადორიალი გაიხსნა. დიპლომატებს სიტყვით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მიმართეს.

ამბასადორიალი ოფიციალური გახსნის შემდეგ, სამუშაო სესიებით გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებს განიხილავენ. დიპლომატთა შეხვედრა 4 დღის განმავლობაში გაგრძელდება, სადაც მთავარი აქცენტი სტრატეგიულ კომუნიკაციაზე, ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერებასა და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს მეტად პოპულარიზაციის საკითხებზე გაკეთდება.

პრემიერ-მინისტრმა ამბასადორიალზე, რუსეთთან ურთიერთობებზე, ვიზალიბერალიზაციასა და იმ მხარდაჭერასა და დაპირებებზე ისაუბრა, რომლებიც ნატოს ვარშავის სამიტზე მიიღო ქვეყანამ. კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ჩრდილოატლანტიკურ ბლოკსა და საქართველოს შორის არსებულ სიღრმითა და მასშტაბით უნიკალურ პარტნიორობას, პროგრესს ინტეგრაციის გზაზე და საქართველოს წევრობის გარდუვალობას.

არაეთიკური და არაკორექტული შეფასება

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი **ირაკლი კობახიძე** კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შეფასებას არაეთიკურსა და არაკორექტულს უწოდებს. ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. პარტიის აღმასრულებელი მდივნის თქმით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს დღეს ხელმძღვანელობენ იგივე ადამიანები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საარჩევნო შტაბს 2013 წელს, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი გახდა სწორედ ამ გუნდის დახმარებით, სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ სიარულით, გიორგი მარგველაშვილი. **„აქედან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი, არაკორექტული და არაეთიკურია პრეზიდენტის მხრიდან საუბარი, კითხვების დასმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ამოძრავებდა საარჩევნო შტაბს არჩევნებში მონაწილეობის პროცესში. ძალიან კარგი იქნებოდა პრეზიდენტს დაესვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო ბოკერიას და მელიას როლი კორცხელის ინციდენტისა და პროვოკაციის წამოწყების დროს“,** — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

იაკობ ლეჟავა: მაინცდამაინც საკუთარი კისერი უნდა მოვიტეხოთ, თვალები რომ აგვეხილოს?!

③

მაღალშემოსავლიანი საქართველო და ნაცების ხორხოცი...

④

როგორც იქნა უძლეველი როლანდ ახალაიას დაჯარიმეს!

⑤

პრემიერა გორის თეატრში

⑥

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲥᲡᲝᲕᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲔᲑᲡ ᲮᲚᲐᲠᲗᲐᲕᲡ

ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲖᲐᲙᲕᲠᲣᲚᲘ �გᲔ�გᲛᲐ ᲒᲐᲘᲨᲘᲤᲠᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲐ **უფსკრულისკენ მიექანება, სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ მუშაობენ, საქართველო ჩამოშლის პირასაა, — ასეთი სასოწარკვეთილი და შავი პესიმიზმით არის გაჟღენთილი „ცრუსთავი-2“-ის მთავარი იქედნეს გიორგი გაბუნიას „საავტორო“ გადაცემები... გულწრფელად მეცოდება ის ადამიანები და საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც მისი სჯერა!!! როგორი ზომბირებული უნდა იყოს ხალხი, რომ დღემდე ნაციონალების მხარდამჭერი იყოს და ეს შხამიანი ბანდა ინარჩუნებდეს კეთილგანწყობას ამომრჩეველთა ნაწილის მხრიდან?! არ მოგწონს „ოცნება“, კი, ბატონო, ნება შენია, მაგრამ როგორ უნდა მოგწონდეს ყოფილი ხელისუფლების ნარჩენები, რომელსაც ამ ქვეყანაზე უამრავი სისაძაგლე უკავშირდება? თავი გავანებოთ იმას, რომ იყო ტოტალური დიქტატურა, სოციალური განუკითხაობა, ტერორი, უზნეობა... საინტერესოა, რატომ არიან ჯერ კიდევ დევნილები უსახლკაროდ, მშიერი პენსიონერები, რატომ ცხოვრობენ ადამიანები ბარაკებში, რატომ მომრავლდნენ მიუსაფრები და მათხოვრები?! თუკი ამის მოგვარება ჯადოსნური ჯოხის აქნევით შეეძლო „ოცნების“ ახალ ხელისუფლებას, რატომ იგივე არ გააკეთა ძველმა, რა უშლიდა ხელს?!**

მოკლედ, ოპოზიციის გაუგონარი დაპირისპირება ხდება „ქართული ოცნების“ მთავრობასთან, პარლამენტთან, ივანიშვილის მხარდამჭერებთან, — პირი აქვთ შეკრული ნაციონალებს, პრეზიდენტის აპარატს, არასამთავრობოთა კორპუსს. ახლა საჯაროდ ჩაეწერა ამ არმიაში ვადამილეული ნაცისტური საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე... ყველანი სულმოუთქმელად ელოდებიან 9 ოქტომბრის გათენებას „ოცნების“ გუნდის გარეშე! გასაგებია მათი პოზიცია, მაგრამ იმდენად უნამუსოდ, არაადამიანურად მიმდინარეობს „ბრძოლა წესების გარეშე“, რომ დაუოკებელი ამბიციების მორევში რას ჩმახავენ და რა ობობას ქსელს ხლართავენ, თვითონაც არ იციან!

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲥᲡᲝᲕᲐ ᲣᲛᲫᲕᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲕᲔᲚᲖᲔᲪ ᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲔᲑᲘᲡ ᲮᲚᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝ!

ᲗᲣᲛᲪᲐᲚᲐ, „ᲞᲚᲐᲡᲢᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ“ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲡ ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲔ!

მთელი წინასაარჩევნო მარათონი, მტრისას და ავისას, ალბათ, ასეთი „აბსურდის თეატრში“ უნდა გავატაროთ... აქეთ მოძალადე ოპოზიცია, არასამთავრობოები, „რუსთავი-2“, ცრუქაქუნა შალიკო ნათელაშვილის იდიოტური ბრალდებები და... იქით უსუსური მთავრობა, „გასაოცარი“ დემოკრატიის შემოქმედი ივანიშვილი....

ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელზე აუცილებელია, მაგრამ ტყუილებით, სკანდალებით, ინტრიგებით ღვარძლის ფრქვევა და მით უფრო, ამ ყველაფრის „დამაჯერებლად“ და პროფესიონალურად კეთება, უკვე ამაზრზენია, ქვეყნის დამღუპველი და გამპარტახებელია!

ვის სჭირდება ეს აპოკალიფსური სურათი, რომელსაც „რუსთავი-2“ ქმნის? ზეწოლა მედიაზე, ზეწოლა სასამართლოზე, ზეწოლა პრეზიდენტზე, სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშლილია არჩევნებიდან მეოთხე წელს! — ასეთი იყო „რუსთავი-2“-ის წუხანდელი „არჩევანის“ პათოსი.

იმავეს წერდა საკუთარ ვებგვერდზე გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე... დეპუტატის შეხედულებები აბსოლუტურად მისაღებია იმის მიუხედავად, აღფრთოვანებულები ვართ თუ არა ზოგადად ხელისუფლების მუშაობით. **„რეალურად აი, რისი მიღწევა სურთ ოპონენტებს, — ეს სცენარი ხომ დიდი ხანია, ოდესაში იწერება, ამ სცენარის უშუალო მონაწილე ხომ პაპუაშვილიცაა, რომელმაც მოახერხა და საქართველოს პრეზიდენტიც წარმატებით ჩართო ამ საქმეში. მე მივდივარ სექტემბერში და ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო — როგორც ჩანს, ასე ფიქრობს და აზროვნებს უმაღლესი „კონსტიტუციონალისტი“,** — წერს დეპუტატი მანანა კობახიძე, რომელიც . ძალიან კარგად ჩასწვდა „ქვეყნის ბედზე“ მოფიქრალთა მიზანს, — **დღევანდელი სასამართლო ხელისუფლების, სამართალდამცავი სისტემის, პროკურატურის, მთლიანად საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია, ფეხქვეშ გათელვა, იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში დაუცველობისა და ნიჰილიზმის სინდრომის დანერგვა, პროკურატურის კანონიერი მოთხოვნის იგნორირებით სამართლისა და წესრიგის მიმართ დაუმორჩილებლობისკენ წაქეზება, უნდობლობა!, უნდობლობა!, უნდობლობა!“** არადა, უშეცდომო ხელისუფლება ჯერ არ არსებულა და ვერც იქნება, მაგრამ ნაციონალების მხრიდან ასეთი არანორმალური ცხოვრების შთაბეჭდილების შექმნით ხომ ისევ მოქალაქეთა ნერვები და ფსიქიკა ზიანდება?!

„რა გადაწყვეტილებაც არ უნდა გამოიტანოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მათში ეჭვის შეტანა, მათ შორის „რუსთავი-2“-ის საქმეზე სარჩელის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების არცნობა და უკანონოდ წარმოჩენა, მინიმუმ, აი, ამას ცდილობს პაპუაშვილი. და იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს მეთაურმა სათანადო პასუხისმგებლობით გაიზიაროს ეს ყველაფერი, იყოს კონსტიტუციის, ქვეყნის სტაბილურობის დაცვის გარანტი, პრინციპული და სამართლიანი, უაპელაციოდ იზიარებს ამ მზაკვრულ გეგმას... ცეცხლაზე ნავთს ასხამს და ავითარებს ასეთ ლოგიკას — მე მჯერა შენი, რადგან ჩემს ნათესავზეც ზეწოლა იყო, ოღონდ ერთი თვის წინათ და მადლობა, რომ გამახსენეო“, — გულისტკივილს გამოთქვამს მანანა კობახიძე.

გიორგი პაპუაშვილის მზაკვრული გეგმა მას შემდეგ გაიშიფრა, რაც მან პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. ამბობს, ჯერჯერობითო, მაგრამ დღეს თუ არა, მაშინ როდის?! ამ საკითხში პროკურატურაზე კომპეტენტური ვინაა?! ან კი როგორ ხარ იმ ქვეყნის უმაღლესი კონსტიტუციონალისტი, თუკი დარწმუნებული ხარ, რომ პროკურატურა რადიკალურად ტენდენციურია? მაშინ რას იცავ, ან როგორ იცავ?! დაიხურე ქუდი და დროზე ადრე წადი პოსტიდან!

გიორგი პაპუაშვილის არაკაცობას გრძნობს ყველა, ვისაც გონება უჭრის, მაგრამ „რუსთავი-2“ რისი ნაციონალური პანდორას ყუთია, თუკი „გვარამიასეულ“ ვარიანტს არ წარმოაჩენს და ტვინს არ გამოურეცხავს, ჯოჯოხეთს არ მოუწყობს მაყურებელს!

ფხიზლად, ფხიზლად ქართველო საზოგადოებავ! ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. „ოცნების“ მხარდამჭერთა ერთობით ყველა პრობლემა დაიძლევა და არამზადა ნაციონალების მუქარა, ბაქიბუქი და იდეოლოგიური ტერორი ჩაფლავდება!

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲪᲮᲠᲝᲕᲐᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲐᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ,
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲐᲫᲔ

ᲯᲔᲠ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲗᲐᲜ...

ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ სასამართლოს თავმჯდომარე საქართველოს პრემიერთან შეხვედრის მოლოდინშია, როგორც გიორგი პაპუაშვილმა განმარტა, მას გიორგი კვირიკაშვილი დაჰპირდა, რომ დაუკავშირდებოდა და შეხვდებოდა. პაპუაშვილი ასევე მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ინტერესის შემთხვევაში შეხვდეს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სხვა პირებს და გააცნოს საქმის არსი. **„პრემიერი დამპირდა, რომ როცა მოიცლიდა, დამირეკავდა, დამიკავშირდებოდნენ. მე ყოველთვის მზად ვარ შესახვედრად. იქიდან გამომდინარე, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არც წერილობით და არც საჯარო მიმართვის საფუძველზე არავითარი რეაგირება არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები არის, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება, როცა ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც მე შევხვდებოდი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, პრეზიდენტს, პრემიერს და სხვა დაინტერესებულ პირებს და მოვიფიქრებდით იმ ეფექტურ მექანიზმს, რაც გარანტიას მოგვცემდა, რომ ამჯერად მაინც იყოს გამოძიება გარკვეული შედეგების მომტანი, მათთან შეხვედრის შემდეგ, რა თქმა უნდა, მზად ვარ შევხვდე მთავარ პროკურორს იმის დასადასტურებლად, რომ რეალური შეიძლება იყოს მათგან წამოსული გამოძიება და არა გამოძიება გამოძიებისათვის“,** — აღნიშნა გიორგი პაპუაშვილმა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ პრესსპიკერის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილის ოჯახის წევრი მზად არის, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ეკა მიშველაძემ განმარტა, თუ რატომ მიმართა პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრს მისი ოჯახის წევრის ჩხრეკასთან დაკავშირებით.

„პრეზიდენტმა მისი ოჯახის წევრთან დაკავშირებულ ინციდენტზე შეიძლება ორი კვირის წინაც, იმიტომ კი არ ჩააყენა პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი საქმის კურსში, რომ დახმარებას ითხოვდა ამ კონკრეტულ საქმეში, არამედ იმისთვის, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პრემიერის გუნდში, მისი გვერდის ავლით გარკვეული ძალები პოლიტიკური პროცესის სხვა მიმართულებით წაყვანას ცდილობენ,“ — განაცხადა მიშველაძემ.

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პრეზიდენტის პრესსპიკერის ეკა მიშველაძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თუ გამოძიების პროცესში ამის საჭიროება გაჩნდა, პროკურატურა ვიცე-პრემიერს კახა კალაძეს დაჰკითხავს.

„თუ კალაძის დაკითხვა საჭირო გახდა, ბუნებრივია, პროკურატურა მას დაკითხავს. კანონის წინაშე ნებისმიერი მოქალაქე თანასწორია, თუმცა ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ უნდა მიიღოს. ჩვენი მიზანია, ეს საქმე ბოლომდე იყოს მიყვანილი და წინასაარჩევნო პროცესში დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებული არ იყოს“, — დასძინა კობახიძემ.

„ვირზე ჯდომა“ ერთობ საშიშია!

მაინცდამაინც საკუთარი კისერი უნდა მოვიტეხოთ, თვალები რომ აგვეხილოს?!

ისრაელის ქნესეთმა 57 ხმით 48-ის წინააღმდეგ მიიღო ანალოგიური, უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ახალი კანონი, რომლითაც აიკრძალა ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე (უპირატესად!) ჯგუფების საქმიანობა! მიზანი ამ კანონისა აბსოლუტურად იგივეა, რაც რუსეთში – აილაგმოს უცხოეთის (ისრაელის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს თქმით – ევროკავშირის) ჩარევა საშინაო საქმეებში!

დეპუტატობის კანდიდატების დადებითად დასახასიათებლად სახელისუფლებო პარტია, ანუ **„ქართული ოცნება“**, როგორც წესი, ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, მათ მიერ უცხოეთში მიღებულ განათლებას და უცხო ენების, განსაკუთრებით, ინგლისურის ცოდნას და, მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებას.

გაუნათლებელს განათლებული დეპუტატი რომ აჯობებს, ეს ნებისმიერმა ამომრჩეველმა იცის, მაგრამ როგორ მოახერხოს მან სწორი არჩევნის გაკეთება, როცა ყველა განათლებულია, როცა ზოგს ჰარვარდი აქვს დამთავრებული, ზოგს – კოლუმბიის, ჰაიდელბერგის, ნოტინგემის და ზოგსაც – ლომონოსოვის უნივერსიტეტი?! განათლების ცენზისდა მიხედვით, ანუ ვის უფრო პრესტიჟული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, იმით უნდა იხელმძღვანელოს? მაშინ, თბილისის და, მით უფრო, ქუთაისის ან ბათუმის, ან სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები ხომ ვერასოდეს იხილავენ პარლამენტს! და მეორეც, უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების არც დიპლომები აკლდა სააკაშვილს და არც უცხო ენების ცოდნა, მაგრამ რაც მივიღეთ, ყველას მწარედ გვახსოვს! ასე რომ, მხოლოდ ამ კრიტერიუმებით შერჩევა იმ ადამიანებისა, რომლებმაც სახელმწიფო უნდა მართონ, სრულიად გაუმართლებელია!

რაც შეეხება გამოცდილებას. აქაც სადავო არაფერია, გამოთქმაც კი არსებობს: ერთი გამოცდილი კაცი ათ გამოუცდელს სჯობსო! მაგრამ, ამას ვერ ვიტყვით უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებში მიღებული გამოცდილების მქონე პირებზე, რომლებსაც, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, მეხუთე კოლონასაც უწოდებენ! ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ასეთ ორგანიზაციებს რამდენიმე წლის წინ მკაცრი კონტროლი დაუწესეს რუსეთში, ზოგიერთებს კი, საერთოდ, აუკრძალეს საქმიანობა (ცნობისათვის, მსგავსი კანონი მოქმედებს აშშ-ც, თანაც, 1937 წლიდან!). ა.წ. 11 ივლისს კი დემოკრატიულად ცნობილი **ისრაელის ქნესეთმა 57 ხმით 48-ის წინააღმდეგ მიიღო ანალოგიური, უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ახალი კანონი, რომლითაც აიკრძალა ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე (უპირატესად!) ჯგუფების საქმიანობა!** მიზანი ამ კანონისა აბსოლუტურად იგივეა, რაც რუსეთში – აილაგმოს უცხოეთის (ისრაელის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს თქმით – ევროკავშირის) ჩარევა საშინაო საქმეებში! ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, ამგვარ კანონებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ, როცა ამ ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ან ძირს უთხრის მის წყობას. ამიტომაც უწოდა ნეთანიაჰუმ ამ კანონს „დემოკრატიული კანონი“! ჩვენთან კი, ყველაფერი პირიქითაა – მიუხედავად ასო-ების (არასამთავრობოების) სისტემატური კრიტიკისა (ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ოპოზიციის მხრიდან, ცხადია!) სწორედ ისინი სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით და სწორედ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს ნიშნავენ პრემიერის თუ პრეზიდენტის მრჩევლებად, მინისტრებად და სხვა საკვანძო თანამდებობებზე. **არასამთავრობოების წარმომადგენლების დაწინაურების ტენდენცია, დღესაც ისევე აქტიურად გრძელდება, როგორც ეს სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო. ამ მიმართულებით, ისევე, როგორც საგარეო მიმართულებით არაფერი არ შეცვლილა – ამ მხრივ, ოცნებასა და ნაცმოძრაობას შორის არავითარი განსხვავება არ არის!** ხელისუფლებაში მყოფი ამ კატეგორიის პირთა გვარების ჩამოთვლას არ დავიწყებ (ისედაც ყველამ იცის), მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „ქართული ოცნების“ მიერ პირველად დასახელებული 15 დეპუტატობის კანდიდატის, ე.წ. ახალი სახეების სიასაც სათავეში, ანუ პირველ (!) ნომრად სწორედ ასეთი ადამიანი, „საიას“ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ყოფილი თავმჯდომარე **თამარ ჩუგოშვილი** ჩაუყენეს, რომელიც, პრემიერ **კვირიკაშვილის** დახასიათებით, თურმე, **„შეუპოვარი უფლებადამცველი“** ყოფილა! ბატონ პრემიერს ბარემ იმათი გვარებიც შეეხსენებინა ამომრჩევლისთვის, ვისაც „შეუპოვრად“ იცავდა ჩუგოშვილი – გირგვლიანის, მოლაშვილის, თეთრაძის, შავაძის, ვაზაგაშვილების, სხვების და სხვების უფლებებს იცავდა იგი, თუ საზოგადოებისთვის მიუღებელი და დამღუპველი(!) მოვლენის – ლგბტ საზოგადოების წევრების – ლესბოსელების, გეების (იგივე ჰომოსექსუალების, იგივე – პედერასტების), ბისექსუალების და ტრანსსექსუალების უფლებებს; ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ – უცხოეთიდან დაფინანსებულ სექტებს! ესაა მთავარი და არა ის, თუ რა პოსტები ეკავა ამ ქალბატონს მთავრობაში ამ „სახელგავარდნილი“ არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეობის შემდეგ.

უმთავრესზე არავინ ამახვილებს ყურადღებას – **არავინ ჩერდება კანდიდატების პოლიტიკურ გამოცდილებაზე და, რაც უმნიშვნელოვანესია, პოლიტიკურ შეხედულებებზე და პოზიციებზე საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.** არადა, დასავლეთში სწორედ ამაზე კეთდება აქცენტები წინასაარჩევნო პერიოდში, და არა იმაზე, თუ ვინ სად სწავლობდა და რომელი უცხო ენა იცის! **ჩვენთან არც კანდიდატის ზნეობრივ მხარეს ექცევა ყურადღება** – ეს, თურმე, პირად ცხოვრებაში ჩარევა გამოვა. მნახველები თუ არა, ინფორმირებულები მაინც ხომ გავხდით ყველანი იმ სამარცხვინო ვიდეოკადრების თაობაზე, რომლებშიც ჩვენი სანაქებო მინისტრების მორალური სახე გამოჩნდა. რამდენიმე ასეულ ანალოგიურ, აწ უკვე განადგურებულ (ვითომ, ორიგინალ-ასლებიანად ?!) ფაილზე, რომლებზედაც ასევე მაღალჩინოსნებიც იყვნენ უთუოდ დაფიქსირებულნი, აღარაფერს ვამბობ. ზნეობრივი მხარეა, აგრეთვე, თავდაცვის მინისტრის ის ყოვლად მიუღებელი, არამოქალაქეობრივი გამონათქვამიც, რომლითაც მან გვამცნო, რომ თავის ვაჟიშვილებს იგი სამშობლოს დასაცავად

არ ამზადებს! როგორი მოსაწონია, როცა თავდაცვის მინისტრი სხვის შვილებს აფრიკაში აგზავნის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად (ამერიკის ინტერესების დასაცავად!), საკუთარ შვილებს კი საქართველოს დასაცავადაც ვერ იმეტებს! მიმაჩნია, რომ ეს უზნეობის მწვერვალია, რომელსაც მხოლოდ პრეზიდენტის ქართველ ერზე „ფილოსოფიურად ნაზრევი“ გამონათქვამი თუ გაუტოლდება!

ამომრჩეველსაც, ბუნებრივია, აინტერესებს არა დასახელებული კანდიდატის ტიტულატურა, არა ის, თუ ვინ რა ტრეინინგი გაიარა ამერიკაში ან რომელ ევროპულ სტრუქტურებში იმუშავა, არამედ ის, თუ რა პოზიცია ეკავა მას 7 ნოემბრის და 26 მაისის მოვლენების შეფასებისას 2007 და 2011 წლებში (მაშინ, და არა – ახლა!), რა პოზიცია უკავია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რა აზრის არის ერთნაირსქესიანთა ქორწინების, ნაცებთან კოჰაბიტაციის, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების, ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის, ქართული საჯარისო ნაწილების ავღანეთ-აფრიკაში მონაწილეობის და იმ სხვა პრობლემების თაობაზე, რომელთა წინაშეც დგას დღეს ჩვენი ამომრჩეველი.

ისრაელის ქნესეთმა 57 ხმით 48-ის წინააღმდეგ მიიღო ანალოგიური, უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ახალი კანონი, რომლითაც აიკრძალა ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე (უპირატესად!) ჯგუფების საქმიანობა! მიზანი ამ კანონისა აბსოლუტურად იგივეა, რაც რუსეთში – აილაგმოს უცხოეთის (ისრაელის შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს თქმით – ევროკავშირის) ჩარევა საშინაო საქმეებში!

დასახელებული 15-კაციანი სიიდან ნახევარი მათგანი სამართლის სპეციალისტია, რაც მისასალმებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი პრემიერი პრიორიტეტულ მიზნად დაპირებული სამართლიანობის აღდგენას დაასახელებდა (ოთხი წლის შემდეგ მაინც!). სამწუხაროდ, ამ წარდგინებიდან (13 ივლისი, საგურამო, ილიას სახლ-მუზეუმი) ხუთ დღეში ქუთაისიდან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ყველას ცივი წყალი გადაგვასხა, მან **„ანგარიშსწორება და შურისძიება“, „რეგრესი და განვითარების შეფერხება“** უწოდა იმას, რასაც მთელი საქართველო (ნაცების და მათი ოჯახის წევრების გამოკლებით) ელოდა და ვერ ეღირსა 2012 წლიდან დღემდე! დამნაშავის დასჯა კანონის ძალით, სასამართლოს გზით (და არა ლინჩის წესით!), თურმე, სამართლის აღსრულება კი არ ყოფილა, არამედ – „შურისძიება და რეგრესი“! ერთი სიტყვით, სამართლიანობის აღდგენაზე ოცნებაც დაივიწყეთ, ჩვენ პროგრესულად მოაზროვნე ხელისუფლება ვართ და **„ჩვენი მიზანი საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაა“**-ო, – გამოგვიცხადა სახელმწიფოს პირველმა (თუ მეორე?) პირმა! ანუ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვაუწყა, რომ ის პოლიტიკა, რომელიც ეს ოთხი წელი ტარდებოდა, კვლავ გაგრძელდება, ოღონდ სახელგატეხილი სიტყვის – „კოჰაბიტაციის“ ნაცვლად „საზოგადოებრივ თანხმობას“ ვიხმართო. ამას ასე დაუფარავად რომ გვეტყვის მთავრობის მეთაური, რისი ან ვისი იმედი უნდა გვქონდეს? ყოველ შემთხვევაში, ნაც-ქოცების და მათი სატელიტი პარტიების – არა!

სხვა საინტერესო რამეც თქვა პრემიერმა ქუთაისში: **„ჩვენ მივეცით ხალხს ის, რაც ადამიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია – თავისუფლება“!** რაც მართალია, მართალია! ხალხმა მიიღო სიტყვის(!) თავისუფლება, ანუ ყველას და ყველაფრის კრიტიკასთან ერთად, ლანძღვა-გინების, ცილისწამების, ბილწსიტყვაობის, პატრიარქისა და ეკლესიის (მხოლოდ მართლმადიდებელი!) შეურაცხყოფის თავისუფლება, მაგრამ ხალხმა ვერ მიიღო სახელმწიფოს განვითარების კურსის არჩევის თავისუფლება, რეფერენდუმების ჩატარების თავისუფლება, ვერ მიიღო ხელისუფლებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენის კანონიერი უფლება. „ენის ფხანის“, ლაყბობის (ანუ როცა ხელისუფლება არ გისმენს) უფლების მონიჭება დიდი პროგრესია თურმე; აი, სამართალმა რომ პური ჭამოს, ის უკვე უკანსვლა, რეგრესი და თავის მოჭრა იქნება დასავლეთის თვალში!

„გამთლიანებული და ძლიერი საქართველოა თითოეული ჩვენგანის მიზანი და ამოცანა. ჩვენი პარტიის მიზანი და ამოცანაც სწორედ ეს არის“, არ შეიძლება არ დაეთანხმო პრემიერის ამ სიტყვებს, ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ ერთ „პატარა“ ნიუანსშია განსხვავება – თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის, რომ საქართველოს გამთლიანება რუსეთის კეთილი ნების გარეშე გამორიცხულია, რომ აუცილებელია რუსეთის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკება, მაღალ დონეზე კონტაქტები; ხელისუფლება კი ჯიუტად დგას გაბუტულის პოზაში, მას ერთხელაც არ მოსვლია თავში აზრად ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვა რუსეთის პრეზიდენტთან (რაზედაც რამდენჯერმე გამოთქვა მზადყოფნა თავად პუტინმა), და მთელ იმედებს დასავლეთზე ამყარებს, რომელიც, თურმე, რუსეთს აიძულებს (!) უარი თქვას აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც აღგვიდგენს! მერე რა, რომ 25 წელია, ამ უაზრო პოლიტიკას არაფერი სასიკეთო არ მოუტანია ჩვენთვის (საზიანო კი – იცოცხლეთ!), ჩვენი ხელისუფლება მაინც „ვირზე ჯდომას“ ამჯობინებს (მოჩენილ-მომაგრებული დასავლელი მრჩევლებისა და ამერიკის ელჩის „მეგობრული რეკომენდაციებით“, ცხადია!).

თუმცა, ქოც-ნაცების პარლამენტ-მთავრობის რა გვიკვირს, როცა ჩვენმა სანაქებო **„პატრიოტთა ალიანსმაც“** (მისმა ლიდერებმა) იგივე გამოგვიცხადა ცოტა ხნის წინათ – ევროკავშირის მეშვეობით მოვახდენთ სასურველ ზემოქმედებას რუსეთზეო. მაშ რითი განსხვავდება სახელისუფლებო პარტიის („ქართული ოცნება“), საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და ერთ-ერთი მთავარი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის („პატრიოტთა ალიანსი“) საგარეო კურსი ერთმანეთისგან? აბსოლუტურად, არაფრით! ისე, „ალიანსის“ ეს გენერალური ხაზი, ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, რადგანაც მისი ლიდერები მხოლოდ ამერიკა-ევროპაში დადიოდნენ სისტემატურად და რუსეთისკენ, საერთოდ, არც კი იყურებოდნენ. ღიმილის მომგვრელია, როცა ისინი თავმოწონებით გვიყვებიან თავიანთ შეხვედრებზე სენატორებთან, კონგრესმენებთან და ევროდეპუტატებთან – საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია მივაწოდეთ ყველას და ისინიც დიდის გულისყურით გვისმენდნენო (2012 წლის არჩევნების შემდგომი პერიოდი მაქვს მხედველობაში და არა წინა პერიოდი, როდესაც ციხის კადრების ევროპაში გატანით „პატრიოტთა ალიანსმა“ უდიდესი წვლილი შეიტანა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში). როგორ დავიჯერო, რომ მათ სულ უბრალო რამ არ იციან – ამერიკის საელჩოს (და, შესაბამისად, იმათაც ვაშინგტონში, ვინც საქართველოს საშინაო და საგარეო კურსს განსაზღვრავს, ვინც პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს და, საერთოდ, ყველაფერს გვიყალიბებს) გაცილებით მეტი ინფორმაცია გააჩნია, ვიდრე ყველა პარტიას ერთად აღებულს! ან რატომ ჰგონიათ (ვისაც ჰგონია), რომ ამომრჩეველი ვერ ხვდება, თუ რა მიზანს ემსახურება იმ პარტიების ლიდერების ხშირ-ხშირი ვოიაჟები ამერიკასა და ევროპაში, რომლებიც ენასაც კი არ ასველებენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე. მართალია, ჭეშმარიტ მიზნებზე არცერთი პარტია არ საუბრობს, მაგრამ სულაც არ არის ეს ძნელი მისახვედრი, ესაა: საკუთარი თავის მოწონება (ანუ, ოღონდ მხარი დამიჭირეთ და თქვენ პოლიტიკას სხვებზე უკეთ მე გავატარებ საქართველოში!), სამოქმედო ინსტრუქციების მიღება და ადრე მიღებულის შესრულებაზე ანგარიშის ჩაბარება და, აგრეთვე, შესაძლო დაფინანსების მიღებაც. ინფორმაციის მიწოდებას რაც შეეხება – უკვე კარგა ხანია, რაც იგი არავის არ ჩააქვს ადრესატამდე თვითმფრინავით და ამაში ათასობით დოლარს არ ხარჯავს, ყველაფერი ძალიან მარტივად და ოპერატიულად ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით. თუ ისეთი საიდუმლო ინფორმაცია ჩააქვთ, რომ პირდაპირ ხელიდან ხელშია გადასაცემი?! დროა, შევეშვათ არასერიოზული არგუმენტებით ამერიკაში მიმოსვლის ახსნა-განმარტება-გამართლებას, მაინც არავის სჯერა მათი. მეორე სამწუხარო ქმედება „პატრიოტთა ალიანსისა“ კიდევ ის იყო, რომ მან გვერდში ამოიყენა ისეთი პარტიები, რომლებიც ამომრჩეველთა ხმების მხრივ ბევრს ვერაფერს შემატებენ მას, რუდუნებით დღემდე მოტანილ მის სახელს კი, ვფიქრობ, დააკლდება, რადგანაც ზოგიერთი შემოერთებული პარტია ნაციონალებთან ერთად „რუსთავი-2“-ის დამცველადაც კი მოგვევლინა. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ „პატრიოტთა ალიანსში“ ძალიან ბევრი ჭეშმარიტად პატრიოტი ადამიანია გაწევრიანებული და მათი პარლამენტარობა მხოლოდ წაადგება ჩვენ ქვეყანას.

საქართველოს პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ამომრჩეველს ძალიან ბევრი რამ გვაინტერესებს და პასუხებსაც, პირველ რიგში, ბუნებრივია, ხელისუფლების პირველი პირები უნდა გვაძლევდნენ, მაგრამ დღემდე ვერ ვეღირსეთ, თუნდაც, მხოლოდ ორ მთავარ საკითხთან – ნატოსთან და ევროკავშირთან დაკავშირებით დალაგებულ და დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას. დარწმუნებით და, თან, გადაჭრით გვეუბნებიან, რომ ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებას ალტერნატივა არა აქვს, მორჩა და გათავდა! რისი აწონ-დაწონვა, რისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერება, ამის მცდელობასაც კი ვერ ვხედავთ. იმეტებენ ორად ორ წინადადებას: ევროკავშირთან დაახლოებით ეკონომიკურად ავშენდებით, ხოლო ნატოში გაწევრიანებით დაცული ვიქნებით.

იხ. 7 გვ.

მაღალშემოსავლიანი საქართველო და ნაცების ხორხოცი...

ამ საუბარს, რომლის შინაარსსაც ქვემოთ გაეცნობით, კახეთის ერთ ძირძველ სოფელში შევესწარი. ივლისის ხვატით გათანგული დედაქალაქიდან მშობლიურ სოფელში სულის მოსათქმელად ჩასულ მეცნიერს მეზობლად მცხოვრები გლეხკაცი გამოელაპარაკა:

— ვახტანგ, სწავლული კაცი ხარ, ეკონომიკაში კარგად ჩახედული, იქნებ შენ მაინც გამაგებინო, ამ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში ისეთი რა სახადი შეგვეყარა, რომ ნიადაგ წელათრეულები დავბობღავთ?

— კონკრეტულად რას უჩივი?

— აბა რას უნდა ვუჩიოდე, ჩემო კარგო, ცხოვრებას ვუჩივი. ეს დემოკრატია კი გვაქ ოხრადა, მაგრამ კარგ ცხოვრებას რო ვერა და ვერ ვეღირსეთ?

— სიღარიბეს უჩივით არა?

— მაშ კაცო... მთელი დრო ჭაპანწყვეტაში ვართ, აქეთ ზვრებში ვღვრით ოფლსა, იქით — სიმინდისა და ბოსტნეულის მოყვანაში, მაგრამ სიღარიბიდან მაინც ვერ ამოვწიეთ თავი.

— ზაქრო, ჩვენში დარჩეს და ხომ არ აბუქებ? როგორც ვიცი, შარშან ყურძნის დიდი მოსავალი გქონდა, შინ ქვევრები გაავსე და ღვინის ქარხანასაც ჩაბარე.

— კი ჩავაბარე, მაგრამ რა სარგებელი ვნახე? მოგებას ვინ ჩივის, რაც ვენახების მოვლა-პატრონობაში დავხარჯე, ისიც ძლივს ავინაზღაურე.

— რატომ, კაცო, გარდა ღვინის ქარხნებისა, ყურძნის სარეალიზაციოდ სუბსიდირება სახელმწიფომაც ხომ გაიღო? როგორც პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, სახელმწიფო მევენახეებს ყურძნის რეალიზაციაში წლეულსაც მიეხმარება.

— არ გვჭირდება ეგეთი სუბსიდირება, რომლის გამოც იქით სახელმწიფო ბიუჯეტი ზარალდება და აქეთ გლეხობაც უკმაყოფილო რჩება.

— აბა რა ქნას სახელმწიფომ, მას უფლება არა აქვს ბაზრის მართვაში ჩაერიოს და ყურძნის ჩასაბარებელი ფასი დააწესოს.

— ამას არც კი ვთხოვთ. მან ის უნდა უზრუნველყოს, რომ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემო შექმნას, რათა მევენეხეთა შრომის ხარჯზე არ მდიდრდებოდნენ ერთეულები და უშემოსავლოდ არ რჩებოდნენ ისინი, ვინც უშუალოდ პროდუქცია შექმნა. ნუთუ ეს ძნელი გასაგებია?! ჩვენ, მევენახეები არ უნდა ვიყოთ სახელმწიფოს ხელშემყურე, ჩვენ უნდა შეგვეძლოს, ჩვენი შრომის ფასად მიღებული შემოსავლებით შევინახოთ საკუთარი ოჯახები.

— მართალი ხარ, გლეხკაცობის (და არა მარტო გლეხკაცობის) შემოსავლები მკვეთრად უნდა გაიზარდოს, მაგრამ ერთბაშად ამის მიღწევა რეალურად შეუძლებელია.

— შენ რას ამბობ, აი, ამას წინათ ტელევიზიით კი მოვისმინე, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფიდან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადავიდა. გამაგებინ:ე, ეს რანაირად მოხდა, რომ ჩვენ, ვინც პროდუქციას ვქმნით, ისევ ღარიბებად დავრჩით, სახელმწიფო კი მდიდრების კატეგორიაში აღმოჩნდა?

— ამის ასე მარტივად გაშიფვრა არ გამოვა. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკების ანალიტიკურ კლასიკიფაციას, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. საშუალოზე მაღალი ეკონომიკის ქვეყნებად დასახელდნენ ისეთები, სადაც ამ მაჩვენებელმა 4,036-12,475 აშშ დოლარი შეადგინა: ჩვენ სწორედ ასეთთა კატეგორიაში მოვხვდით.

— ზოგი კი ფიქრობს, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაცია ეფუძნებოდა ხელისუფლებაში დასაქმებულთა ოჯახების გაზრდილ (პრემია-წანამატები) შემოსავლებს. ღმერთო ნუ გვიწყენ, ღარიბი კაცის ფიქრი რა საცდურს არ გადაგყრის!

— ფიქრი ერთია, მაგრამ მსოფლიო ბანკის მიხედვით, ახალ კატეგორიაში გადასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში სიღარიბე აღარ არსებობს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო ბევრ სარგებელს მიიღებს. ამასთან, თუკი საქართველოს მოსახლეობის საშუალო შემოსავალი გაიზრდება, ქვეყანა ევროკავშირისთვის უფრო მიმზიდველი პარტნიორი გახდება.

— ეგ არ ვიცი როდის მოხდება, მაგრამ ის კი სავალალოა, რომ მევენახეები და მეწარმეები (ღვინის ქარხნები) ერთმანეთის სასურველი პარტნიორები ვერა და ვერ გავხდით. ვიდრე ეს პრობლემა იარსებებს, გლეხკაცობის შემოსავლები გაყინული წერტილიდან არ დაიძვრება.

* * *

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა აქ თავად ამ საუბრისთვისაც დაგვესვა წერტილი, რომ არა ის აჟიოტაჟი და გაუგებრობა, რაც საქართველოს საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნად გამოცხადებამ არა მარტო მოსახლეობაში, თვით ეკონომიკის სფეროში მომუშავე მეცნიერებსა და ექსპერტებს შორისაც გამოიწვია. ერთი იმათგანი, ვისაც ეჭვი არ შეპარვია საქართველოს ბოლო წლების მიღწევებში, თავად საქართველოს მთავრობა აღმოჩნდა.

მსოფლიო ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პირველი ქვეყნის პრემიერი **გიორგი კვირიკაშვილი** გამოეხმაურა, მისი თქმით, ბოლო 15 წლის განმავლობაში, საქართველოს ამ მხრივ წინსვლა არ ჰქონია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება. წარმატება, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის იმიჯზე, საინვესტიციო პოტენციალსა და ცნობადობაზე, — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

ამავე აზრისაა ეკონომიკური ექსპერტი **მიხეილ დუნდუა,** რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს კლასიფიკაციის ახალ კატეგორიაზე გადასვლით ჩვენი ქვეყნის მიმართ საინვესტიციო დაინტერესება გაიზრდება, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლების ზრდაზეც. ექსპერტის თქმით, ეს ჯერჯერობით ვერ იგრძნო მოსახლეობამ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქარველომ დაიწყო ვალების მასშტაბური გადახდის პროცესი. მარტო წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 34 პროცენტი არის საქართველოს გრაფიკით გადასახდელი. ფასების გადახდის ამ აქტიურ ფაზას ვასრულებთ 2017 წელს და შესაბამისად, ქვეყნის საშუალოზე მაღალი შემოსავლების კატეგორიაში ყოფნის შედეგი მოსახლეობისვთისაც შესამჩნევი გახდება.

არ დაიჯეროთ, აცხადებს ნაციონალური მოძრაობის ხმაურიანი ექსპერტი **რომან გოცირიძე,** რომელიც მთავრობას ტყუილში ადანაშაულებს და ქვეყნის რეიტინგში დაწინაურებას მოსახლეობის „დაკორექტირებული“ რაოდენობით ხსნის. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველომ უფრო მაღალი შემოსავლების კატეგორიაში იმიტომ გადაინაცვლაო, ამბობს ექსპერტი, რომ ახალი აღწერით, ქვეყნის მოსახლეობა 700 ათასზე მეტი ადამიანით შემცირდა და, ბუნებრივია, ამან ერთ სულზე შემოსავლების მექანიკური ზრდა გამოიწვიაო. მომავალში კიდევ 700 ათასით თუ შემცირდება მოსახლეობა, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრე იგივე დარჩება, არ გაგიკვირდეთ თუ მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნებსაც გადავასწრებთო, — „გვამხნევებს“ რომან გოცირიძე.

თქვენ წარმოიდგინეთ, გამოჩნდნენ ისეთი ექსპერტებიც, რომლებიც საქართველოს ზემოხსენებულ წარმატებაში ნეგატივის ქექვით დაინტერესდნენ და თითქოს მიაგნეს კიდეც. კარგია, რომ მაღალი შემოსავლების ქვეყანათა რიგში მოვხვდით, ამბობენ ისინი, მაგრამ ამას თავის უარყოფითი მხარეც აქვს — ადვილი მოსალოდნელია, მსოფლიო ბანკმა დახმარების პროგრამები გაგვიძვიროს და კრედიტებში უფრო მეტი პროცენტი მოითხოვოსო. ვერაფერს იტყვი, ასეთები ხომ კატას იმ ოთახშიც ეძებენ, სადაც ის არ არის(!).

ამ საქმეში უფრო დაოსტატებულ-დახელოვნებულები კი, ისეთები, მაგალითად, როგორიც ნაცბანდელი ბოკერია-რატიანი და მათი რუპორი რუსთავიორელი აკაკი გოგიჩაიშვილია, ქოცების დამფხაჭნავ კატას მოუძებნელადაც პოულობენ და მთელი დემოკრატიული სამყაროს გასაგონად აჭყავლებენ. გაგიკვირდებათ და საამსაქმოდ დროს, დიდი „მოუცლელობის“ მიუხედავად, შიგადაშიგ მთავრობის „ფარული“ ოპოზიციონერი პრეზიდენტი მარგველაშვილიც პოულობს, რომელიც შიშნარევი პათოსით აცხადებს, რომ მედიასთან დაპირისპირება სახიფათოა და ის ყოველთვის პოლიტიკოსთა კრახით მთავრდება. მთავრობას, რა თქმა უნდა, ლერწამივით მოქანავე პრეზიდენტის პოზიცია არ მოსწონს, მაგრამ ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისგანაც იგივე ფრაზებს ისმენს და იძულებულია გაყუჩდეს.

ჰოდა ამ გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში არის ნაცების გაუთავებელი გნიას-ხორხოცი, რა მაღალი შემოსავლების ქვეყანა აგიტყდათ, ქოცებო, ამ შიმშილობის ჟამს, აცხადებენ ისინი ამომრჩევლებთან გამართულ შეხვედრებსა და სატელევიზიო გამოსვლებში, ბიუჯეტიდან წაღლეტილი პრემია-წანამატებით თქვენ შავი დედლებივით გაკეთდით, მაგრამ აბა ახლა ხალხს შეხედეთ, თქვენი უნიათობა-უმაქნისობით რა გაუსაძლის ყოფაში აღმოჩდნენო. არა უშავს, ცოტაღა დარჩა, მოვბრუნდებით ხელისუფლებაში და წაქცეულ ქვეყანას ხელახლა წამოვაყენებთო.

...გაგიკვირდებათ და საამსაქმოდ დროს, დიდი „მოუცლელობის“ მიუხედავად, შიგადაშიგ მთავრობის „ფარული“ ოპოზიციონერი პრეზიდენტი მარგველაშვილიც პოულობს, რომელიც შიშნარევი პათოსით აცხადებს, რომ მედიასთან დაპირისპირება სახიფათოა და ის ყოველთვის პოლიტიკოსთა კრახით მთავრდება. მთავრობას, რა თქმა უნდა, ლერწამივით მოქანავე პრეზიდენტის პოზიცია არ მოსწონს, მაგრამ ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისგანაც იგივე ფრაზებს ისმენს და იძულებულია გაყუჩდეს.

რას აკეთებენ ამ დროს ქოცები? იმის მაგივრად, რომ ხალხი თავიანთი ნაღვაწისა და ნაშრომის, მიღწეული წარმატებებების რეალობაში (ბევრი რამ მართლაც გაკეთდა) დაარწმუნონ, მთელი დრო ნამუსგარეცხილი ნაცხროვის იერიშების მოგერიებით არიან დაკავებულნი. რამდენად გაამართლებს „ოცნების“ თავდაცვის პოლიტიკა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამოჩნდება.

ოთარ ხუციშვილი

1200-მდე ადამიანი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას ითხოვს

მთავარი **პროკურატურის ინფორმაციით, გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით 1200-მდე განცხადება-საჩივარია წარდგენილი. თუმცა, ამ ეტაპზე სამი მსჯავრდებულის საქმეების ხელახალი გადასინჯვის პროცედურა იქიდან გამომდინარე დაიწყო, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები.**

სპიკერ-პროკურორ კოკა კაციტაძის განცხადებით, მსჯავრდებულები იოსებ ჯანდიერი, თემურ სალაყაია და ანდრო ჩხიკვიშვილის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა ხელახალ სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას აწარმოებს.

„1200-მდე განცხადება-საჩივარი შემოვიდა, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას ეხება. ის საქმეები იმის გამო შეირჩა, რომ საკმარისი მტკიცებულებები არის შეკრებილი. ასევე მოპოვებულია ახალი ფაქტები და ახალი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებმაც საფუძველი მოგვცა ახლადგამოვლენილი გარემოებით მივმართოთ სასამართლოს. კანონში შეტანილი ცვლილება არ გულისხმობს, რომ პროკურორების, მოსამართლეების და გამომძიებლების შეფასება მოხდეს, შესაბამისად, თუ გამოიკვეთება განზრახ მონაწილეობა მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის, მოხდება მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრა“, — განაცხადა კოკა კაციტაძემ.

„ფოტოგრაფების საქმე“ კაციტაძეს პრიორიტეტული საქმედ მიაჩნია

საქართველოს **პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვა დაიწყო, როგორც პროკურორმა კოკა კაციტაძემ აღნიშნა გამოძიების ფარგლებშიც „ფოტოგრაფების საქმეზეც“ მოხვდა, რომელზეც კონკრეტული შედეგები უახლოეს მომავალში იქნება. „ფოტოგრაფებს საქმე“ არის ის პრიორიტეტული საქმე, რომელზეც ახალი დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებს მუშაობას და უახლოეს მომავალში ამ საქმეზე კონკრეტული შედეგი გვექნება“,** — განაცხადა კოკა კაციტაძემ.

როგორც იქნა უძლეველი როლანდ ახალაიაც დააჯარიმეს!

უზენაესმა სასამართლომ საქართველოს პარლამენტის წევრი როლანდ ახალაია დამნაშავედ სცნო. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის საკასაციო საჩივარი, გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და საქართველოს პარლამენტის წევრი როლანდ ახალაია დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი).

შეგახსენებთ, რომ როლანდ ახალაიას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მარტს გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, რაც 2016 წლის 29 იანვრის გამამართლებელი განაჩენით, უცვლელად ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრებული იქნა პროკურატურის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულად გაიზიარა როგორც ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტები, ასევე საქმეზე პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და მათი საკმარისობა, რომელთა შეჯერებით, უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ როლანდ ახალაიამ გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის უფლებამოსილებას, პატიმრობიდან გათავისუფლებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, კანონის გვერდის ავლით, ორ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირების ოჯახის წევრებს, დიდი ოდენობით თანხა უკანონოდ ჩაარიცხინა კერძო ფირმის ანგარიშზე.

უზენაესმა სასამართლომ როლანდ ახალაია დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ორი დამოუკიდებელი ეპიზოდის ჩადენაში და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით. მასვე 2 წლითა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

„პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაზე დაკავებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება წარმოუდგენელია“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების საქმეზე ზოგიერთ ბრალდებულთან საპორცესო შეთანხმების შესაძლო გაფორმების თაობაზე გავრცელებულ იმფორმაციას გამოეხმაურა:

„მოთმინებით ველოდები პროკურატურაში გამოძიების დასრულებას, ერთი მხრივ მუქარებზე, რომელსაც ჩვენ თვეების განმავლობაში ვისმენდით სხვადასხვა ფორმით - ხან ვიდეო გრაფიკის, ხან კი სხვა ფორმით და მეორე მხრივ გავრცელებულ ვიდეო მასალაზე. წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ვიდრე არ არის ბოლო წერტილი დასმული, ვიდრე ყველა არ არის დაკავებული, ქვეყანაში უზრუნველყოფილი არ არის ვიდეოფირების ტერორიზმის დასრულება, რაიმე ტიპის საპროცესო გარიგებები ამ ადამიანებთან წარმოუდგენლად მეჩვენება, თუკი ისეთი ღირებული ინფორმაცია არ მიაწოდეს პროკურატურას, რაც ამ ყველაფერს წერტილს დაუსვამს. საკითხისადმი დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოება იმსახურებს, იცოდეს, რა განსაკუთრებული დამსახურებისთვის ხდება საპროცესო გარიგება, თუ ხდება ასეთი, ადამიანებთან, რომლებიც ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენენ“, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

ადამიანები, რომლებიც მოსმენების სისტემას ნერგავდნენ, დღეს ოპონენტებს რაღაც განცხადებებისთვის აკრიტიკებენ

ქართული ოცნების ერთ-ერთ ლიდერი გია ვოლსკი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებს ეხმაურება, რომელიც მის მიმართ განხორციელებულ შანტაჟს ეხება.თინა ხიდაშელისთვის გაუგებარია, რატომ ფორმდება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებისთვის დაკავებულ პირებთან საპროცესო შეთანხმება.გია ვოლსკი აქცენტს ნაციონალურ მოძრაობაზე აკეთებს და ამბობს.

„ეს ტრადიცია ვინც დანერგა და ვინც ამ დანაშაულს სათავე დაუდო, დღეს იმყოფება უკრაინაში და არის ოდესის ოლქის გუბერნატორი. ადამიანები, რომლებიც გუშინ ნერგავდნენ სისტემას ფარული მოსმენების, პირადი ცხოვრების ეპიზოდების უკანონო ჩაწერის და შანტაჟისა, დღეს გამოდიან და აკრიტიკებენ თავის ოპონენტებს რაღაც განცხადებებისათვის, რომელიც აბსოლუტურად არ აზიანებს, თუ რაღაც დამატებითი ინფორმაცია არ მოაქვს საზოგადოებისთვის. ეს არის ფაქტი, თუ ამ გამოძიებაში უფრო მეტი იქნება გამოვლენილი ვიდრე დღეს ჩვენ ვიცით, რა საკვირველია, მისასალმებელია“.

პროკურატურამ პრეზიდენტისა და პაპუაშვილის განცხადებაში მითითებულ ფაქტებზე გამოძიება დაიწყო

„საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მოქალაქე მინდია გოგოჭურის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო ზეწოლის ფაქტზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნიშნებით დაიწყო გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით. პრეზიდენტ გ. მარგველაშვილის მიერ ტელევიზიით საჯაროდ გაკეთდა განცხადება, რომლის მიხედვითაც მისი ოჯახის წევრის მიმართ სამართალდამცველთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ზეწოლის მცდელობის ფაქტს, რაც გამოიხატა ხსენებული პირის მიმართ, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებით. ვითარებაში გარკვევის მიზნით მთავარი პროკურატურის მიერ შს სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლის მიხედვითაც ირკვევა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, პრეზიდენტ გ.მარგველაშვილის სიძის - მინდია გოგოჭურის მიმართ პოლიციელების მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ფაქტი, რაც ასევე დადასტურდა შს სამინისტროს პრესსამსახურის საჯარო განცხადებითაც. პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, იმის დასადგენად, შს სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ხომ არ ჰქონდა მოქალაქე მინდია გოგოჭურის მიმართ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტს ადგილი. ამავდროულად, საზოგადოებას გვინდა, ვაცნობოთ, რომ მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უხეში ჩარევის, ასევე პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების და გამოყენების შესაძლო ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართის კოდექსის 364-ე მუხლის II ნაწილითა და 1571 მუხლის I ნაწილით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გ. პაპუაშვილის მიერ ტელევიზიის საშუალებით საჯაროდ გაკეთდა განცხადება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიმართ ხორციელდება მიზანმიმართული ზეწოლა, რათა ზეგავლენა მოახდინონ მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე, ასევე, რომ ხსენებული მიზნის მისაღწევად შეიძლება გასაჯაროვდეს მოსამართლეების პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. საჯარო განცხადების გაკეთებიდან მოკლე ვადაში გ. პაპუაშვილს გაეგზავნა შეთავაზება, პროკურატურაში გამოცხადებისა და მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის დეტალებში გარკვევის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა პროკურატურის შეთავაზებაზე, საბოლოოდ მან შეცვალა პოზიცია, უარი განაცხადა თანამშრომლობაზე და პროკურატურაში გამოცხადებაზე. პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიმართ შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების გადამოწმების მიზნით.“**

ხუთმა რელიგიურმა გაერთიანებამ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა

საქართველოში **რეგისტრირებულმა ხუთმა რელიგიურმა გაერთიანებამ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, რომლებიც რელიგიურ უმცირესობათა გაერთიანებებებს დისკრიმინაციულ პირობებს უწესებს და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.**

მოსარჩელეთა ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (**TDI**) წარმოადგენენ.

რელიგიურ ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა, ექმნებათ დაბრკოლებები სხვადასხვა ფორმით სახელმწიფო ქონების მიღებისას (მაგალითად, გაცვლა, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების პრივატიზება და სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღება), რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპსა (მე-14 მუხლი) და საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებასთან (21-მუხლი).

კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც, რელიგიური ორგანიზაციებიდან სახელმწიფო ქონების შეძენა (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევისა) მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შეუძლიათ, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას — ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიას.

სარჩელით ასევე მოთხოვნილია იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელთა მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების გზით შეძენა; ასევე, რელიგიურ გაერთიანებებს, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, ეზღუდებათ სახელმწიფოსგან ქონების გაცვლისა და საკუთრებაში მიღების უფლება.

აღნიშნული ნორმების მოქმედების გამო, სსიპ რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციები დღემდე ვერ ახერხებენ მათ სარგებლობაში არსებული ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციას. სახელმწიფო მათ რესტიტუციის ფარგლებშიც კი, ქონებას მხოლოდ სარგებლობის უფლებით გადასცემს.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ შეეზღუდება მისთვის კანონით უკვე მინიჭებული პრივილეგიები, ხოლო სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცემათ შესაძლებლობა არადისკრიმინაციულად ისარგებლონ იმ უფლებებით, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

სასამართლოში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ:

სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“;
სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“;
სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“;
სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“;
სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“.

იები თოვლში და ჰაე, როგორც ამოსუნთქვა

რეცენზია არალირიკული გადახვევებით

2016 წლის 17 ივლისი. გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერაა. პიესის ავტორი – როსტომ ჩხეიძე, დამდგმელი რეჟისორი – სოსო ნემსაძე.

ეს ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივ და მორიგ პრემიერად – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ თეატრში კიდევ ერთი დრამატურგი დაიბადა, არამედ და უფრო მეტად იმიტომ, რომ სპექტაკლი იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება და დადგმულია მკაფიო მიზანდასახულობითა და რეჟისორული კონცეფციით, რაც ლიტერატურული პირველწყაროს პატივისცემასაც გულისხმობს და სცენაზე მსახიობის შეუცვლელობასაც.

როსტომ ჩხეიძემ პიესების წერა გვიან დაიწყო – მაშინ, როცა უკვე გამოცემული ჰქონდა თვრამეტამდე ბიოგრაფიული რომანი დიდ ქართველებზე, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილზე – „ბურჯი ეროვნებისა.“

დრამატურგიისკენ მის პროვოცირებაში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის. წლების წინათ **მაკა ჯოხაძის, ლევან ბრეგაძის, როსტომ ჩხეიძისა** და საკუთარი პუბლიცისტური სტატიების მიხედვით შევადგინე კომპოზიცია („სამშობლო როგორც უფალი“), რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში მსახიობმა **თინათინ ელბაქიძემ** ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა.

იმ დღიდან როსტომ ჩხეიძემ სერიოზულად დაიწყო საუბარი ჩემს დრამატურგიულ შესაძლებლობებზე, რაც თავად ხუმრობადაც კი არ მიმიღია.

და აი, ორიოდე წლის წინათ გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო ნემსაძე გვიმხელს, რომ ძალიან უნდა პიესა იაკობ გოგებაშვილზე, ბიოგრაფიული რომანის საფუძველზე შექმნილი. როსტომი (ამჯერადაც სრულიად სერიოზულად): „ჰოდა, აგერაა იოსებ ჭუმბურიძე!“

იმ დროისათვის, როგორც იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობის წევრს, **მამა კონსტანტინე გიორგაძესთან, გიორგი გოგოლაშვილთან** და სხვებთან ერთად, უკვე ბევრი მაქვს ნაფიქრ-ნაკვლევი „დედაენის“ შემოქმედზე, საკმაოდ ბევრიც მიბრძოლია და გავლანძღულვარ კიდეც მის გამო (ბედის ირონია: დიდ ერისკაცებს დღესაც ებრძვიან?!), მაგრამ სასტიკ უარს ვამბობ, რადგან ვთვლი, რომ ეს როსტომის გასაკეთებელია და ყველაზე უკეთ სწორედ მას გამოუვა...

* * *

და დაიწერა პიესა – **„იის სურნელი თოვლში.“**

ახლა მთავარია, რას იტყვის რეჟისორი.

ხომ შეიძლება, მანაც ზოგიერთი თავისი კოლეგის მსგავსად განაცხადოს (როსტომის სხვა პიესები რომ დაიწუნეს): კი, დიდებული ლიტერატურული ტექსტია, მაგრამ ქმედება აკლია...

უცნაურია: ეს ხდება იქ (დედაქალაქში), სადაც ზოგიერთ დრამატულ თეატრში მხოლოდ მოძრაობენ და არ ლაპარაკობენ, ზოგან – პირიქით, ზოგან შექსპირის პიესას გასული საუკუნის შუა წლების „რეჟისორული აზროვნებით“ გვთავაზობენ... კიდევ კარგი, ბრეხტი და სტურუა არსებობენ, თორემ ან უკვე მიწურული სეზონი დედაქალაქის დრამატული თეატრებისთვის მართლაც დრამატული (იქნებ სულაც ტრაგიკული) აღმოჩნდებოდა...

* * *

დიდებული ლიტერატურული ტექსტი, თუმცა ნაკლებად დრამატურგიული – რაღაც ამდაგვარი სოსო ნემსაძესაც წამოსცდა, მაგრამ პიესის დადგმა მაინც უყოყმანოდ გადაწყვიტა.

* * *

პიესის ძირითადი ხაზი აგებულია იმაზე, თუ როგორ უჭირს იაკობს „დედაენის“ გასაღების პოვნა და რარიგ გაიხარებს, როცა უფალი ყმაწვილის პირით უკარნახებს: **„აი ია“...**

არ ვიცი, სოსო ნემსაძეს ვისი პირით უკარნახა უფალმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მანაც უდიდესი სიხარული განიცადა, როცა ასევე დიდი წვალების შემდეგ სპექტაკლის ორიგინალურ ქარგას მიაგნო და ის ქართული ანბანის ღვთაებრივ ძალაზე დააფუძნა.

* * *

ერთხელ მიხეილ თუმანიშვილს ვკითხე, „ალუბლის ბაღის“ დადგმას რატომ აჭიანურებთ-მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე: „გასაღებს ვერ ვპოულობ“...

სოსო ნემსაძემ ჩეხოვის პიესის ისეთი გასაღები იპოვნა, რომ განგვაცვიფრა: თურმე, შეიძლება, ალუბლის ბაღი სულაც მინისა და კერამიკისა იყოს, ხოლო მდიდრული სერვიზის მსხვრევით ბაღის აჩეხვაც ადვილად წარმოვიდგინოთ და არისტოკრატის განადგურებაც.

აი, ასეთი რეჟისორია სოსო ნემსაძე!

და რაღა მაინცდამაინც როსტომ ჩხეიძის პიესის დადგმისას უღალატებდა ფანტაზია თუ მხატვრული წარმოსახვა?!

როსტომს მაინც სკეფსისი სძალავდა: „ჩემი ბედი რომ ვიცი“...

მე კი ჯიუტად მჯეროდა.

* * *

მსახიობთა გუნდი ერთად წარმოთქვამს ქართული ანბანის ყველა ასო-ბგერას და სცენის სიღრმიდან თანდათან ჩვენკენ მოემართება. ამ დროს აუცილებლად გაგახსენდება **ილია ჭავჭავაძის** სიტყვები: **„ენა ღვთაებრივი რამ არის“...**

ისტორიული პერსონაჟებით დასახლებულ სპექტაკლში პიესიდან მხოლოდ ილია არ გადმოსულა, მაგრამ ის ყველგან იგულისხმება. ილია არ ჩანს და მაინც მოქმედებს: თანამებრძოლები მთავარ იმედად მიხსენიებენ, მეფისნაცვალი და მისი ხელქვეითნი – მთავარ ამრევად. და ორივე მხარე მართალია.

ანბანს კრიტიკულ მომენტშიც წარმოთქვამენ, რაც კიდევ უფრო გახაზავს დედაენის ღვთაებრივ შესაძლებლობებს. **გალაკტიონიც** ხომ გრძნეული ინტუიციით მიხვდა რიცხობრივად პატარა ერის გადარჩენის საიდუმლოს: „აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“...

სოსო ნემსაძეც უთუოდ ეზიარა ამ ღვთაებრივ საიდუმლოს და ამიერიდან, როსტომ ჩხეიძის მსგავსად, ისიც იაკობ გოგებაშვილთან განდობილია.

მის სპექტაკლში ქართული ანბანია „ერის შემჭიდროება“.

ახლა ადვილია თქმა, რა უნდოდა ამის მიგნებასო, მაგრამ ასე „აი იას“ წარმოთქმა კიდევ უფრო იოლი მოგვეჩვენება: ყველა ჭეშმარიტი აღმოჩენა ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავიდანვე, აიწევა თუ არა სპექტაკლის (და არა თეატრის) შთამბეჭდავი ფარდა (მხატვარი **აივენგო ჭელიძე**), აჰყვება თუ არა მას შესაბამისი განწყობილების მუსიკა (კომპოზიტორი **კობა მეგრელიშვილი**) და მსახიობთა გუნდი ანბანის წარმოთქმას დაიწყებს, უმალვე გაიფიქრებ, რომ სპექტაკლის ბედი „ცაშია გარდაწყვეტილი“ და ჩვენს წინაშეა შეთხზული და არა დადგმული (ესეც თუმანიშვილის გამოთქმაა) სანახაობა, სადაც ყველაფერი თავის ადგილზეა, ერთიან რეჟისორულ კონცეფციას დამორჩილებული.

და მაინც, სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა, თუ ყოველივეს მსახიობები არ გაამართლებენ. თუ, უწინარესად, მთავარი გმირის განმასახიერებლები – **სოსო მგალობლიშვილი** და **კობა კოპაძე** (მოხუცი იაკობი) „დედაენის“ შემოქმედის ლამის მოწამეობრივ ცხოვრებასა და ღვაწლს დამაჯერებლად არ წარმოგვიდგენენ.

ორივე შემსრულებელი ამ მიზანს წარმატებით აღწევს, ოღონდ, სხვადასხვა გზით.

მოხუცი იაკობის სახე უფრო ტრადიციული ხერხებით იკვეთება, თუმცა დაზღვეულია იმ სიყალბისა და პათეტიკისგან, ისტორიული პიროვნებებისადმი მიძღვნილ ფილმებში რომ გვინახავს და დღემდე ირონიით ვიხსენებთ. ახალგაზრდა იაკობი კი სრულიად განსხვავებული ფერებით იხატება. შეიძლება, იფიქრო კიდეც, იქნებოდა კი იაკობ გოგებაშვილი ასეთი? ასე გაცხარდებოდა მსგავს სიტუაციებში? მაგრამ ბოლოს ასკვნი: კარგია, რომ მსახიობი ამსხვრევს ჩვენში შემორჩენილ კლიშეებსა თუ სტერეოტიპებს და დიდ ერისკაცს წარმოგვიდგენს როგორც ძალიან ბუნებრივ პერსონაჟს, ცოცხალ ადამიანს და არა გაქვავებულ იდეალს. განსაკუთრებით დამაჯერებელია მსახიობი მაშინ, როცა „აი იას“ მიაგნებს. აღმოჩენის სიხარულის („ფრთები გამოესხა თუ რა?!“) ესოდენ ბუნებრივი და გადამდები გამოხატვა, ალბათ, ძალიან იშვიათია. ეს ფინალში ხდება, როცა სპექტაკლი კულმინაციას აღწევს და ამ მართლაც წარმტაცი სანახაობით, იისფერ თოვლში, კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება მხატვრისა და კომპოზიტორის წვლილი. აქ (და საერთოდაც) აუცილებლად უნდა აღინიშნოს გემოვნებით შერჩეული, ფერადოვანი კოსტიუმები (მხატვარი – **ბარბარე ასლამაზაშვილი),** დახვეწილი პლასტიკა და სასცენო მოძრაობა (ქორეოგრაფი – **გიორგი მარღანია)**. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ეგრეთ წოდებულ მასობრივ სცენებში, როცა ცეკვავენ, მღერიან, ან ლექსებს კითხულობენ. როცა სცენაზე გამოდის ბარბარე მამაცაშვილი **(მაკა შალიკაშვილი)** და ხალისი შემოაქვს, ყველაფერი გხიბლავს – ჩაცმულობაც, პლასტიკაც, თავდაჭერის მანერაც, ეპოქის სურნელის ტარებაც. რაც მთავარია, მსახიობი ამოვარდნილი კი არ არის, ორგანულად ზის საერთო ანსამბლში.

ეს ჭეშმარიტად ანსამბლური სპექტაკლია, ნამდვილი პროფესიონალის, ოსტატის ხელით მოქსოვილი. კარგ ნაქსოვში კი ხშირად გამოერევა ხოლმე განსაკუთრებით ძვირფასი თვლები.

აქაც ასეა.

სამი მარგალიტი კი გამორჩევით ბრწყინავს.

პირველი: მეფისნაცვალთან **(ბაჩო ქაჯაია)** საჩივლელად მიდის სასწავლებლის დირექტორი **(მერაბ ჭანკოტაძე)** – აგვიკლო იაკობ გოგებაშვილმა, ილიას წაქეზებაღა აკლდა და ახლა სულ თავს გავიდაო, ახალგაზრდებს ტვინს ურევსო...

ეს სცენა გამჭვირვალე ფარდის მიღმა მიმდინარეობს. მეფისნაცვალი სავარძელში განცხრომით კი ჩამჯდარა, მაგრამ კლიშე და სტერეოტიპი აქაც არიდებულია. გროტესკული საშუალებები ზომიერებითა და გემოვნებით არის მოძებნილი. გადაჭარბება სახეს (და სპექტაკლს) უთუოდ დააზარალებდა. მეფისნაცვალი დაახლოებით იმასვე ამბობს, რასაც რუსის აფიცერი ილიას „მგზავრის წერილებში“, მაგრამ ბაჩო ქაჯაიას შესრულება არავის გვახსენებს, ვინც კი სცენასა თუ ეკრანზე გვინახავს. ეს მხოლოდ მისი შესრულებაა. მისი და, ბუნებრივად უნდა ვივარაუდოთ, რეჟისორისაც. ამიტომაც იმსახურებს გულწრფელ აპლოდისმენტებს.

იგივე ითქმის სასწავლებლის დირექტორის განსახიერებაზეც, რასაც მაყურებლის ასევე მყისიერი მოწონება ახლავს.

ამ ეპიზოდის სრულყოფილებას განსაზღვრავს კანცელარიის უფროსისა **(ზაზა ცარულაშვილი)** და მეფისნაცვლის მდივნის **(გიორგი ჩოჩნიძე)** კოლორიტული სახეებიც, ყველაფერთან ერთად, იმის მიმანიშნებელი, რომ ყველა უბედურება ჩრდილეთიდან (ზვიად გამსახურდიას ტერმინი – მიგნება!) მოდის...

მეორე: გაბრიელ ეპისკოპოსისა და იაკობ გოგებაშვილის დიალოგი.

ერთია, როცა ყველა გეხმარება – რეჟისორიც, მხატვარიც, ქორეოგრაფიც, გამნათებელიც...

აქ კი ორი მსახიობი მაყურებლის პირისპირ „შიშვლად“ არის დარჩენილი.

თანაც ეს უაღრესად პრინციპული საუბარია – ეპისკოპოსმა იაკობიც უნდა დააჯეროს და მაყურებელიც. **კახა ბერიძე** ისე წარმართავს ამ დიალოგს, ორჯერ თუ სამჯერ, ისეთი თვალებითა და წრფელი ინტონაციით ეტყვის „გასაღების“ ძებნით გაწამებულ იაკობს, უფლის კარნახს უნდა დაელოდოო, რომ შეუძლებელია, მის რწმენაში ეჭვი შეგეპაროს. ამ ეპიზოდში სოსო მგალობლიშვილიც ყველაზე მეტად ჰგავს იმ კაცს, ვისაც გაბრიელ ეპისკოპოსი ეუბნება : **„ვეღარავის გაგვირჩევია, სასულიერო პირი ხარ თუ საერო, ისეთი უცოდველობით მიჰყვები შენს გზას“...**

მესამე: სანდრო ცხვედაძე გვიამბობს, თუ როგორ გამოსტაცა მტკვარს იაკობ გოგებაშვილი. ამ დროს მსახიობი რამპის კიდეს გაყვება და შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მტკვრის ნაპირია, თითქოს გეშინია კიდეც, რომ ფეხი არ დაუცდეს. **კონსტანტინე კახიშვილი** ამ „ციცაბო გზას“ ისე ოსტატურად გაივლის, რომ თავის ნაამბობსაც ადვილად დაგვაჯერებს და რეჟისორული ჩანაფიქრითაც მოგვხიბლავს. ეს სწორედ ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა რეჟისორი და მსახიობი როლის თანაავტორები არიან. ეს ეპიზოდი იმის ნიმუშიცაა, თუ როგორ შეიძლება ამოქმედდეს სიტყვა, მთავარია, რეჟისორი რეჟისორობდეს.

თურმე, რა დრამატურგიულიც ყოფილა როსტომ ჩხეიძის პიესის დიდებული ლიტერატურული ტექსტი!

* * *

აღვწერე სამი „მარგალიტი“ და, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი: ვარ



კი ბოლომდე სამართლიანი? რით ჩამოუვარდება ხსენებულ ეპიზოდებს, მაგალითად, გაუჩინარებული იაკობის ძებნის უაღრესად ეფექტური, იმავდროულად, ჭეშმარიტი დრამატიზმით გამსჭვალული სცენა, ანდა ის შეკრება, სადაც იაკობი და მისი თანამებრძოლები წესდების პროექტს განიხილავენ. რა მართალია ამ სცენაში ყველა მსახიობი, რა დამაჯერებლად წარმოგვიდგენენ გულანთებულ მამულიშვილებს – ნიკო ცხვედაძეს **(ლევან როსტომაული)**, ანტონ ფურცელაძეს **(ზვიად მაღალაშვილი)**, ნიკო ლომოურს **(ლევან ჯამბრიშვილი)**, იოსებ მამაცაშვილს **(ზურაბ ხინჩიკაშვილი)**, ვახტანგ თულაშვილს **(გიორგი მაყაშვილი)**...

რამდენი დააკლდებოდა სპექტაკლს, ასე დამაჯერებლად რომ არ განასახიერებდნენ სემინარიის მასწავლებლებს **ლევან ოზგებაშვილი, ქიშვარდ მანველიშვილი** და **მერაბ მეზურნიშვილი**, ასეთი გამორჩეული პლასტიკით რომ არ გვამახსოვრებდნენ თავს ჯაშუშები **(ზურაბ პავლიაშვილი, ჯემალ ჭულუხაძე)**.

ანდა შეიძლება, უყურადღებოდ დაგვრჩეს იაკობის ცხოვრების ორი მშვენიერი ქალბატონი, ერთი ირეალური, თითქოს შიო არაგვისპირელის მოთხრობიდან გადმოსული, მეორე კი სრულიად რეალური – დარო მამაცაშვილი, ვისაც უზომოდ უყვარდა და არაფერს ითხოვდა, სხვა არავინ გაიკარა და დარჩა იაკობის სიყვარულის მსხვერპლად. ალბათ, ძალიან ძნელია სცენიდან ამგვარი ტრფობის ჩვენება, რასაც **სოფია მაიერი** იშვიათი გულწრფელობით აღწევს. არც **მარინა არღუთიშვილის** შესრულებაში შეინიშნება ყალბი ნოტები. მომხიბლავია ელენე მამაცაშვილის **(ანი ჩოგოვაძე)** სილაღეც...

იმდენი კარგი სცენაა, რომ თითქოს გინდა, რაღაც მაინც დაიწუნო და ძალიან თუ მოინდომებ, რეჟისორს მხოლოდ იმ ეპიზოდის გამო თუ აუხირდები, როცა მოხუცებული, სნეული იაკობი ლოგინში წევს და ვასილ ბარნოვი ეწვევა. ყველაფერი ჩინებულია – მდიდრული მიზანსცენა, ნისლი, მხატვრული განათება, ძალიან ადამიანური, გულწრფელი საუბარი, მაგრამ ეს ყოველივე სცენის სიღრმეში, მეორე პლანზე ხდება და მსახიობის **(შოთა ხანჯალიაშვილი)** ხმა, ზოგჯერ, მკაფიოდ არ ისმის. სამაგიეროდ, იგივე მსახიობი შეუდარებელია ფინალურ სცენაში, როცა იაკობი შინ არ დახვდება, მაგრამ მის პალტოსა და ქუდს იხილავს და გაოცებას ვერ მალავს...

* * *

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ პერსონაჟებით დასახლებულ სპექტაკლს ყოველთვის ახლავს ყალბი პათეტიკის საშიშროება. სოსო ნემსაძის ოსტატობა და გემოვნება ამ ხიფათს გამორიცხავს.

კიდევ რამდენია სათქმელი რეჟისორის ამ მეტად საინტერესო ნამუშევარზე, თუნდაც იმაზე, თუ როგორ აცოცხლებს წარმოდგენის რიტმს ეპიზოდების კინემატოგრაფიული მონაცვლეობა და სინათლის „თამაში“. სხვათა შორის, ამგვარი ეფექტები პიესაშიც არის მინიშნებული: „სინათლე გადაინაცვლებს მეორე კუთხეში“; „ბნელდება... განათდება მეორე კუთხე“...

რაოდენ სახიერი და სიღრმისეულია სპექტაკლის „უკანა პლანი“, საიდანაც ზუსტად საჭირო დროს მგალობელთა გუნდის **(მარიამ პაპანაძე, ელენე კაპანაძე, თამარ კაიშაური, ქეთი ლაზარაშვილი)** გალობა მოისმის...

მთავარი რეჟისორული მიგნება კი უკვე აღვნიშნეთ, ოღონდ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა მივუმატოთ: მსახიობთა გუნდი ანბანს რომ წარმოთქვამს, ბოლოში ოდნავ შეყოვნდება და ჰაეს განსაკუთრებით გამოკვეთს.

ჰაე, როგორც ამოსუნთქვა, როგორც შვების სიმბოლო! – მარტო ამ მიგნებისთვისაც ეღირებოდა ერთი სპექტაკლი.

აქ კი რამდენ რამეზე შეგვიძლია იმავეს თქმა, რამდენი საინტერესო სცენაა მოფიქრებული, რამდენი შთამბეჭდავი სახეა შექმნილი! და რა მთლიანი, მონოლითური და ანსამბლურია წარმოდგენა.

თურმე შესაძლებელი ყოფილა დიდებული ლიტერატურული ტექსტის ამოქმედება!

მთავარია, რეჟისორი რეჟისორობდეს!

მთავარია, რეჟისორს გული ქართულად უცემდეს, მაშინ სცენაზე დადგებიან იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამებრძოლები და ქართულ თეატრს დაუბრუნდება ის დიდი მისია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აკისრებდა...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲩᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) **კითხვა: თუ როგორ გავწევრიანდებით, როგორ ავშენდებით და როგორ ვიქნებით დაცულები, საერთოდ, ამოღებულია ამ კავშირების მომხრე პოლიტიკოსების ლექსიკონიდან.** მის ნაცვლად პირდაპირ და ყველას გასაგონად გვიცხადებენ: ან დაიჯერეთ რასაც გეუბნებით, ანდა რუსეთის აგენტობის იარლიყი გარანტირებული გაქვთო!

ვეცდები, ძალიან მოკლედ განვიხილო უალტერნატივოდ წოდებული ორივე კავშირი, რას აძლევს ახლა ან რას მისცემს მომავალში ეს კავშირები საქართველოს.

ევროკავშირი – ვიზალიბერალიზაციას დღედღეზე ველოდებით, არცთუ შორეულ მომავალში – გაწევრიანებასაც, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას კი უკვე ორი წელია, ხელი მოვაწერეთ. მერე? დაგვეტყო რამე? რა თქმა უნდა! ჩვენი ექსპორტი ევროკავშირის სახელმწიფოებში დაახლოებით 25 პროცენტით შემცირდა(!), იქიდან იმპორტი კი ამდენივე პროცენტით გაიზარდა! ჩვენი ხელისუფლების აუწონავ-დაუწონავი პოლიტიკური ნაბიჯების წყალობით ჯერ ყველაფერი წინა გვაქვს! ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი რამდენიმე დღის წინათ გადაიდგა, როდესაც ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებას (ყირიმისა და სევასტოპოლის წინააღმდეგ სანქციების გახანგრძლივების თაობაზე) შევუერთდით. ეს სანქციები პირველად 2014 წლის ივნისში დაუწესა ევროკავშირმა რუსეთს და საქართველომაც (ევროკავშირის არაწევრმა სახელმწიფომ!) მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. მაშინ რუსეთმა გვაპატია „სხვების ფეხის ხმას აყოლა“ და რეაგირება არ მოახდინა, არ მიიღო საქართველოს საწინააღმდეგო საპასუხო ანალოგიური ზომები. დღეს კი, როდესაც ჩვენ კვლავ დაუფიქრებლად შევუერთდით ამ სანქციების გახანგრძლივებას, რუსეთის დუმის საერთაშორისო კომიტეტმა რეკომენდაციით მიმართა მთავრობას, რათა მან აკრძალოს საქართველოდან ღვინისა და „ბორჯომის“ იმპორტი (თუ საჭიროდ ჩათვლიან, გამორიცხული არ



„ᲕᲘᲠᲖᲔ ᲯᲓᲝᲛᲐ“ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ!

რაც მართალია, მართალია! ხალხმა მიიღო სიტყვის(!) თავისუფლება, ანუ ყველას და ყველაფრის კრიტიკასთან ერთად, ლანძღვა-გინების, ცილისწამების, ბილწსიტყვაობის, პატრიარქის და ეკლესიის (მხოლოდ მართლმადიდებელი!) შეურაცხყოფის თავისუფლება, მაგრამ ხალხმა ვერ მიიღო სახელმწიფოს განვითარების კურსის არჩევის თავისუფლება, რეფერენდუმების ჩატარების თავისუფლება, ვერ მიიღო ხელისუფლებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენის კანონიერი უფლება. „ენის ფხანის“, ლაყბობის (ანუ როცა ხელისუფლება არ გისმენს) უფლების მონიჭება დიდი პროგრესია თურმე; აი, სამართალმა რომ პური ჭამოს, ის უკვე უკანსვლა, რეგრესი და თავის მოჭრა იქნება დასავლეთის თვალში!

არის, საერთოდ აკრძალონ ყველა სახის იმპორტი საქართველოდან). სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ვერ ხვდება (უფრო კი, ხვდება, მაგრამ დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტს), რომ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებთან მიერთებით რუსეთი, თითქმის, არ დაზარალდება, რადგანაც მას სულ ადვილად შეუძლია ჩვენი პროდუქციის ჩანაცვლება სხვა ქვეყნებიდან იმპორტის გაზრდით, ჩვენ კი ძალიან, ძალიან გაგვიჭირდება ალტერნატიული ბაზრის მოძიება (შეგახსენებთ, რომ ჩვენი ღვინის, ანუ კახელი გლეხის ნაშრომ-ნაღვაწის მატერიალური დაფასება სწორედ რუსეთის ბაზრით ხერხდება, სადაც უფრო მეტი პროდუქცია საღდება, ვიდრე მთელ დანარჩენ მსოფლიოში!).

ვიზალიბერალიზაცია რას მოგვცემს? დიდ შეღავათს! 90 დღის განმავლობაში თავისუფლად შგვეძლება ევროკავშირის სახელმწიფოებში სეირნობა, მაგრამ არა – მუშაობა! მიუხედავად ამისა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც დატოვებს ქვეყანას იმ იმედით, რომ ეგებ, შავ სამუშაოს მაინც გამოკრას ხელი და ორიოდ გროში იშოვოს. გვაწყობს ეს პერსპექტივა? ისე, კიდევ კარგი მუშაობის უფლებას რომ არ გვაძლევენ, თორემ, ხომ სულ დაიცლებოდა საქართველო!

ახლა, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაც მოვიშველიოთ არგუმენტად. თუკი ისეთი ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო, როგორიც ბრიტანეთია, რომელიც ყველა დანარჩენ სახელმწიფოზე უფრო ნაკლებად იყო დაკავშირებული ევროკავშირთან, მაინც გარბის ამ კავშირიდან, ეს ნიშნავს, რომ ია-ვარდით არ არის მოფენილი იქაურობა. ბრიტანეთის მიბაძვას სხვა სახელმწიფოებიც აპირებენ, ჩვენ კი, ეს ღარიბი და ყოველმხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა, ყოველივე ამის შემხედვარე, კარგად დაფიქრების ნაცვლად, მაინც თუთიყუშივით ვიმეორებთ ერთხელ ნათქვამს: „ევროპა, ევროპა“! და იმასაც ვერ ვხვდებით, რომ როგორც ნატოს წევრ თურქეთს ამაიმუნებენ 53(!) წელია და ევროკავშირში არ იღებენ, ზუსტად იგივე მოგველის ჩვენ, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ევროკავშირი არ დაიშალა.

ნატო – რის იმედზე ვართ, არ ვიცი – მოთაფლავს თუ დაშინებით აიძულებს ნატო რუსეთს საქართველოს გამთლიანებას, და მეორეც, როგორ უნდა გვქონდეს ამერიკის (იგივე, ნატოს) იმედი, როცა საქართველოს დამანაწევრებელი ომი მან წამოგვაწყებინა! ყველაზე სასაცილო მაინც ჩვენი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ფორმულირებებია: ნატოს კარი თქვენთვის ღიაა, მაპზე უკეთესი მივიღეთ, კიდევ უფრო მივუახლოვდით ნატოს, მეტი ნატო საქართველოში, ასპირანტები გავხდით, დოქტორანტები და ამგვარი საბავშვო სატყუარები! ერთადერთი, რაც სწორი ითქვა ჩვენს გაწევრიანებაზე, იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის და ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ბოლოდროინდელი განცხადებები:

„ყველამ იცის, რომ ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც საქართველო აქამდე არ არის ნატოს წევრი, არის ის, რომ ეს რუსეთს არ სურს“ (თინა ხიდაშელი). კი, ასეა ნამდვილად, მაგრამ ეს თუ იცი შე კაი დედმამიშვილო, მაშინ რატომ აბრიყვებ ხალხს, რატომ უნერგავ იმის რწმენას, რომ ჩვენ მაინც გავწევრიანდებით ნატოში? მაინც როდის? როცა რუსეთი გაქრება რუკიდან და მარტო ჩვენ და ნატო დავრჩებით, მაშინ?!

„ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის არის ხიფათის შემცველი“ (იენს სტოლტენბერგი). ნატოს გენერალური მდივანი პირდაპირ და გასაგებად გვეუბნება – ტყუილად მიგაჩნიათ ნატოში გაწევრიანება უსაფრთხოების გარანტად, პირიქითაა ყველაფერი, იგი საფრთხის შემცველია და რუსეთის აგრესიისგან ჩვენ ვერ დაგიცავთო! მან კარგად იცის – ნატოს 28-ვე წევრი სახელმწიფო ხელისმოწერას ვერ მოასწრებს (ჩვენი მიღების თაობაზე), რომ რუსეთს უკვე მთლიანად ექნება ოკუპირებული საქართველო. და ეს არც დაუმალავს თავად რუსეთს. ყველას გვახსოვს ნატოს და ჩვენისთანა სახელმწიფოების გასაგონად ნათქვამი პუტინის სიტყვები: „ნატოს არ გავაჭაჭანებთ ჩვენს საზღვრებთანო“! ეს იცის სტოლტენბერგმა, ეს იცის რიგითმა ამომრჩეველმაც და, ნუთუ შეიძლება, რომ ეს არ ესმოდეთ ჩვენს ტვინგაცხელებულ, მხოლოდ დასავლეთისკენ მაცქერალ ვაი-პოლიტიკოსებს (ძალიან კარგადაც იციან ყველაფერი, მაგრამ თბილი სავარძლების გამო თვალთმაქცობენ)!

ალბათ, ბევრი იფიქრებს, რომ სტოლტენბერგი ჩვენზე ფიქრობს, არ უნდა, რომ შარში გავეხვიოთ. ერთი შეხედვით, ასეც ჩანს, მაგრამ აშშ, ანუ ნატო არასდროს არ ფიქრობს სხვაზე, ის მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ინტერესებზე ფიქრობს (ამის მაგალითები უამრავია – ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებიდან დაწყებული, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის წაქეზებით და 2014–ში უკრაინის მაიდნით დამთავრებული) და მან კარგად იცის, რომ **რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირობებში ამერიკის საელჩოს ადგილი აღარ იქნება აქ, მას სამუდამოდ მოუწევს ფეხის ამოკვეთა საქართველოდან. ეს საშიშროებაა მთავარი მიზეზი ჩვენი არმიღებისა ნატოში, და არა – რაღაც სხვა!**

სწორი დასკვნების გამოსატანად (საარჩევნოდ მაინც!) ორი მთავარი კითხვაც დავსვათ: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანუ ამ **25 წლის მანძილზე რომელი ევროპული სახელმწიფო აყვავდა ეკონომიკურად ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად, რომელს არ გაეზარდა კატასტროფულად საგარეო ვალი და არ დაიცალა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან?** და, მეორე – **სად და რომელ სახელმწიფოში დაამყარა ნატომ დემოკრატია და მშვიდობა სამხედრო ინტერვენციის შედეგად, რომელსაც დღესაც არ უჩანს ბოლო?** შემთხვევით – ნგრევა, ქაოსი, მილიონობით მსხვერპლი, მილიონობით ლტოლვილი და ლამის ყოველდღიური ტერორისტული აქტები ხომ არ მოჰყვა ყოველივე ამას?! იქნებ, მიზანიც ეს იყო! სხვანაირად, თეორიულადაც კი შეუძლებელია რომ 50-ზე მეტი (!) სახელმწიფო (ნატოს მეთაურობით!) ტერორიზმს ებრძოდეს და ტერორისტული აქტები კი მასობრივ ხასიათს იღებდეს, ტერორიზმის გეოგრაფია არნახულად ფართოვდებოდეს და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაზე და, ლამის, მთელ მსოფლიოზე ვრცელდებოდეს!

ამ კითხვებს ისევე, როგორც ბევრ სხვას, არავინ, ვისაც ეს სამსახურეობრივად ევალება, არ პასუხობს. არადა, საინტერესო იქნებოდა მათი კომპეტენტური ახსნა-განმარტება. არჩევანსაც ხომ უკეთესს, ანუ სწორს გავაკეთებდით! მაგრამ, საკითხავია: აწყობს კი ხელისუფლებას ამომრჩეველმა სწორი არჩევანი რომ გააკეთოს? ამ თემებზე არც სერიოზული დისკუსიები და სამეცნიერო კონფერენციები გვაწყენდა, მაგრამ ხელისუფლება „უალტერნატივო“ საკითხებზე არც კონფერენციების, და არც რეფერენდუმების ჩატარებას არ აპირებს. ამიტომ, ერთი გამოსავალი ღა დაგვრჩენია – **ჩვენით გადავხედოთ მსოფლიოს უახლეს ისტორიას, სად რა და ვისი მიზეზით მოხდა, და იმის შესაბამისად მივიღოთ გადაწყვეტილება საარჩევნო ყუთებთან.**

ჭკვიანი ადამიანი ხომ სხვის მაგალითზე, სხვის შეცდომებზე სწავლობს და, ჩვენ რა, მაინცადამაინც საკუთარი კისერი უნდა მოვიტეხოთ (უკვე მერამდენედ!), თვალები რომ აგვეხილოს?!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲩᲐᲕᲐ,
23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2016.

P. S. **<u>მგონი, არც ამ არჩევნებზე აპირებს ხელისუფლება ვიდეოთვალის დამონტაჟებას საარჩევნო უბნებზე.</u>** **პუტინის ავტორიტარულ რუსეთში კი ყოველ უბანზე ორ-ორი ვებ-კამერაა(!) დამონტაჟებული და ამომრჩეველი ინტერნეტის წყალობით რუსეთის მთელ ტერიტორიაზე აკვირდება არჩევნების მიმდინარეობას ნებისმიერ უბანზე, საკუთარი თვალით დანახულ დარღვევებსაც სახლიდან გაუსვლელად აფიქსირებს და მომენტალურად ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას!**

<u>როგორც ჩანს, არც ამ არჩევნებზე იგეგმება საარჩევნო უბნების გახსნა რუსეთში იმ არგაცხადებული მიზეზით, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მომხრე მილიონ-ნახევრამდე ქართველი ცხოვრობს იქ!</u>

Ი. ლ.

პანკისის ხეობა სირიას ჩამოაშორეს!

საქართველოს ხელისუფლება ისლამისტ-რადიკალების წინააღმდეგ ბრძოლას სწავლობს

რუსულ გამოცემა „Коммерсантъ“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია პანკისის ხეობაში არსებული სიტუაცია. როგორც ცნობილია, ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ახლო აღმოსავლეთში – სირიასა და ერაყში წარმოებული ბრძოლების შედეგად დაიღუპნენ პანკისის ხეობიდან წასულები – „ისლამური სახელმწიფოს“ „თავდაცვის მინისტრი“ თარხან ბათირაშვილი (იგივე აბუ-ომარ ალ-შიშანი) და კიდევ ორი მებრძოლი - ბექა თოხოსაშვილი და რუსლან ქავთაროვი. „ამრიგად, პანკისის ხეობიდან დაღუპულთა რაოდენობამ უკვე ორ ათეულ ადამიანს მიაღწია“, – წერს „კომერსანტის“ კორესპონდენტი, რომელიც იმა-

ზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ ებრძვის ისლამურ იატაკქვეშეთს საქართველოს ხელისუფლება.

„რუსლან ქავთაროვისა და ბექა ტოხოსაშვილის დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე მათმა თანამებრძოლებმა თანასოფლელებს წერილი გაუგზავნეს და შურისძიება აღუთქვეს „რწმენის მოღალატეებთან“ (ანუ ზომიერ ისლამისტებთან) ურთიერთობის გამო. ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ პანკისის ხეობიდან „წმინდა ომში“ მოხალისეების დინებამ იკლო. არადა, რამდენიმე თვის წინათ სირიაში ასობით საქართველოს მოქალაქე იბრძოდა არა მხოლოდ პანკისის ხეობიდან, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც – აჭარიდან და ქვემო ქართლიდან, სადაც მუსულმანებიც ცხოვრობენ.

როგორც სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის დირექტორი მამუკა არეშიძე ამბობს, ამჟამად სირიაში ბრძოლის მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მისი აზრით, „ისლამური სახელმწიფოს“ ირგვლივ შექმნილი რომანტიკული შარავანდედი უკვე გაქრა რამდენიმე ფაქტორის გამო: მთავარი ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა მიმართა ადგილობრივ მუსულმანურ მოსახლეობაში მუშაობის მიზნით. 2015 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის (3,6 მილიონი ადამიანი) 12% მუსულმანია, ანუ 430 ათასი მოქალაქე. ყველაზე მეტ თავი ტკივილს ხელისუფლებისათვის პანკისის ხეობა იწვევს. ეს პირველ რიგში, რეგიონის წარსულით აიხსნება: 2000-იანი წლების დაწყებამდე პანკისის ხეობა საქართველოს ხელისუფლებისათვის „მიუდგომელ სიმაგრედ“ ითვლებოდა, თბილისს დიდი ხნის განმავლობაში ხეობის მოსახლეობაზე გავლენა არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისში პანკისში ბინა რუსლან გელაევის რაზმმა დაიდო.

ქართველი ძალოვანების ყველაზე გახმაურებულ დაპირისპირებას პანკისური „პარალელური ხელისუფლების“ წინააღმდეგ ლაფანყურთან ახლოს 2012 წლის სექტემბერში განხორციელებული სპეცოპერაცია წარმოადგენდა. პანკისელი ჩეჩნები (ქისტები) რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას ცდილობდნენ და მათ ამაში ხელი საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმელებმა შეუშალეს. ოპერაციის დროს სამი ქართველი ძალოვანი და ცხრა ექსტრემისტი დაიღუპა. ისინი, პრაქტიკულად, ყველა პანკისელი იყო და „რუსეთში გადასვლის მცდელობამდე“ ევროპაში ცხოვრობდნენ. სწორედ მაშინ გამოიყენა საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებისთვის აჰმედ ჩატაევი („ცალხელა“), რომელიც შემდგომ სტამბოლის ტერაქტის ორგანიზატორი გახდა.

ლაფანყურის ინციდენტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ რელიგიურ ექსტრემიზმთან რამდენიმე მიმართულებით სისტემური ბრძოლა დაიწყო, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრი და სხვა სტრუქტურებიც ჩაერთო. როგორც ექსპერტი ნინო ბურჭულაძე ამბობს, ამ ბრძოლის მთავარი მიზანი პანკისის ხეობაა, განსაკუთრებით 2014 წლის შემდეგ, როცა „ისლამური სახელმწიფო“ და „ხალიფატი“ შეიქმნა. რასაკვირველია, ექსტრემიზმთან ბრძოლა უცხოელი პარტნიორების, უპირველესად კი, აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობით ხორციელდება, რაც ინფორმაციის გაზიარებას, სპეცსაშუალებებით მომარაგებასა და ფინანსურ დახმარებას მოიცავს. ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისიც, რომ საქართველომ გაამკაცრა კანონმდებლობაც ტერორისტული საქმიანობასთან დაკავშირებით. სწორედ ახალი კანონის საფუძველზე დააკავეს რამდენიმე პიროვნება პანკისიდან და აჭარიდან, რომლებიც „წმინდა ომში“ გასაგზავნად მოხალისეების გადაბირებას ახდენდნენ.

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად იყენებს აგრეთვე „რბილ ძალასაც“: თბილისი მუშაობს „ზომიერი ისლამის“ წარმომადგენლებთანაც, საშუალებას აძლევენ მათ, ეთერით გამოვიდნენ (პანკისის ხეობაში შესაბამისი რადიოსადგურიც შეიქმნა), დახმარებას უწევს ადგილობრივ მოსახლეობას მეჩეთების მშენებლობასა და რემონტში, პანკისელებს სოციალური დახმარებაც ეძლევათ და შეღავათები ბიზნესში. ასეთი ნაბიჯების მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩაბმული შრომაში „არაკეთილსაიმედო რეგიონიდან“. გარდა ამისა, ადგილობრივ ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ მომგებიანი კონტრაქტები გააფორმონ ქართულ არმიაში სამსახურის მიზნით. სიახლეა ისიც, რომ არმიაში „ისლამურ კაპელანებსაც შეუძლიათ „ზომიერი ისლამის“ ქადაგება.

თუმცა, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, სიტუაცია მაინც ბოლომდე არაა გადაწყვეტილი: „მართალია, ბოევიკების გადაყვანის არხი მარშრუტით თბილისი-სტამბოლი-რაქა უკვე გადაკეტილია, მაგრამ არსებობს სხვა არხებიც, უკრაინისა და კვიპროსის გავლით, – ამბობს მამუკა არეშიძე „კომერსანტის“ ჟურნალისტთან საუბარში, – ამ არხების გადაკეტვა სირთულეებთანაა დაკავშირებული: ახალგაზრდები ვითომდა სამუშაოდ მიდიან, ყოველი ასეთ კონკრეტული შემთხვევის გაკონტროლება, პრაქტიკულად, შეუძლებელია“.

ასლან თარხნიშვილი

პაატა ბურჭულაძე აშშ-ში შეხვედრას მართავს

„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. პაატა ბურჭულაძემ და გიორგი რუხაძემ შეხვედრები ვაშინგტონში რესპუბლიკელ ლიდერებთან გამართეს. პაატა ბურჭულაძე ყოფილ თავდაცვის მინისტრს და სენატორს ჩაკ ჰეგელს, ასევე რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტს მარკ გრინს შეხვდა. შეხვედრებისას განხილული იყო ქართულ-ამერიკული ურთიერთობები თავდაცვის სფეროში, ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის, საქართველოს დემოკრატიული განვითარება და ოქტომბრის არჩევნები. როგორც შეხვედრებისას აღინიშნა ოქტომბრის არჩევნები ამერიკის პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

„გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები სენატორებთან და კონგრესმენებთან და რაც მთავარია, შევხვდით ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ თავდაცვის მინისტრს ბატონ ჩაგ ჰეგელს. განვიხილეთ საქართველოს დემოკრატიული განვითარების საკითხები. შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში ასევე გავემგზავრებით ფილადელფიაში სადაც დავესწრებით დემოკრატების ყრილობას და შევხვდებით დემოკრატიული პარტიის ლიდერებს“ – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური საქმიანობით გავლენიანი ამერიკული გამოცემები დაინტერესდნენ. ბურჭულაძემ კომენტარები მისცა USA TODAY-ს, Washington Post-ს და News weak-ს.

არჩილ გეგეშიძე თანამდებობაზე დარჩა

განცხადება ჟურნალისტებთან საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გააკეთა.

„არჩილ გეგეშიძე თანამდებობაზე რჩება. მან გააკეთა განმარტებები. ჩვენ ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, ელჩს მეტი წინდახედულება მართებს, როცა ასეთი ტიპის კომუნიკაცია ხდება, თუმცა თემატურად ყველა საკითხი ამოწურულია“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ არჩილ გეგეშიძემ, რამდენიმე კვირის წინ, ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან ინტერვიუში, ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ დაადასტურა, რომ მმართველ უმრავლესობაში პრორუსულად განწყობილი ადამიანები არიან, თუმცა აღნიშნა, რომ მათი პოზიცია გადაწყვეტილების მიღებისას გავლენას ვერ ახდენს.

* * *

აშშ-ში საქართველოს ელჩი ამბობს, რომ მისი განცხადებებისადმი ისტერიკამდე მისული რეზონანსი არაადეკვატური იყო.

„როგორც იცით, ვრჩები თანამდებობაზე. ის ინტერპრეტაციები, რაც მიეცა ზოგადად მედიაში, საზოგადოებაში ამ ამბავთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას, ჩემთვის იყო უცნაური და მიუღებელი. ამის თაობაზე ახსნა-განმარტებები გავაკეთე სამინისტროში. ყველა არგუმენტი წარვუდგინე, მათ ეს განიხილეს და ჩათვალეს მიზანშეწონილად, რომ ეს საკითხი ამოწურულია და მეც, ჩვეულებრივ ვაგრძელებ მუშაობას“, – განაცხადა გეგეშიძემ.

რაულ ხაჯიმბა: რეფერენდუმის ჩაშლამ აფხაზეთის იმიჯი შელახა...

აფხაზეთის რესპუბლიკაში რთული პროცესები მიმდინარეობს. პარლამენტში პრემიერ-მინისტრ არტურ მიქვაბიას ნდობის საკითხის განხილვა კვლავ გადაიდო. ასეთი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას თხოვნის საფუძველზე მიიღო, რომელსაც თვითონ სურს მონაწილეობის მიღება პარლამენტის სხდომაში. ოპოზიციის ლიდერებმა, ნდობის ვოტუმის განხილვის გადადების საპასუხოდ, საერთო-ეროვნული ყრილობის ჩატარებისთვის მზადება დაიწყეს. მათ მიაჩნიათ, რომ ყრილობის ჩატარება ერთ-ერთი საშუალებაა იმისა, რომ „სახელმწიფო ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოვიდეს“. თუმცა ყველასათვის აშკარაა, რომ ოპოზიცია თავისი მოქმედებით („ქუჩიდან ზეწოლით ხელისუფლებაზე) ამ კრიზისს კიდევ უფრო ამძიმებს...

აფხაზეთში კვლავ არეულობას ელიან

პუბლიკაციაში მიმოხილულია აგრეთვე აფხაზეთში პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებული რეფერენდუმის ჩაშლის საკითხიც: რეფერენდუმი, რომლის ინიციატორიც ოპოზიცია იყო, პრაქტიკულად, ჩაიშალა, რადგან მასში მოსახლეობის წარმოუდგენლად მცირე რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა, ანუ ოპოზიციამ მარცხი განიცადა, პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომლის გადადგომასაც ოპოზიციონერები (ძირითადად პარტია „ამცახარას“ წევრები) ესოდენ ესწრაფოდნენ, თავის თანამდებობაზე დარჩა. თუმცა ოპოზიციამ თავისი ქმედებით მაინც გარკვეული ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სტაბილურობას – ავტორს მხედველობაში აქვს 2016 წლის 5 ივლისის ტრაგიკული მოვლენები, როცა „ამცახარას“ წევრებმა სოხუმში გამართულ ანტისამთავრობო აქციაზე შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა მოითხოვეს, რასაც შეხლა-შემოხლა და უწესრიგობები მოჰყვა.

დამკვირვებლების აზრით, პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მიმდინარე თვის დაძაბულ დღეებში აწონილ-დაწონილად მოქმედებდა და საკმაოდ კონსტრუქციულ ნაბიჯებს დგამდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რეფერენდუმის შედეგებით არავის არ გაუმარჯვია: „ამ დღეებში გამარჯვებული არც ერთი მხარე არ არის – არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენ ქვეყნის იმიჯს ზიანი მივაყენეთ“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის მიტინგებში დაახლოებით სამი ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რეფერენდუმზე ხმის მისაცემად კი მხოლოდ 1627 მოქალაქე მივიდა: „როგორც აღმოჩნდა, ჩვენ ფული გავანიავეთ, რადგან შედეგი არ გვაქვს“, – განაცხადა აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ. აფხაზეთის პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ნდობის საკითხი დღეს, 27 ივლისს უნდა განიხილონ. ვნახოთ რა მოხდება...

მარიამ ტიმოლენკო.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ორმენ სერგეევის მოგონებები

ე. გლუშიკისა და ო. სტრელცოვას მასალების მიხედვით. გაზეთი „ზავტრა“

ვასილი სტალინი 1943 წელი

ვასილი

იმის გამო, რომ თანაკლასელების უარყოფას არც ერთ გაზეთსა და ჟურნალში არ ღებულობდნენ, გადაწყვიტეს სასამართლოში ეჩივლათ. ამ საქმის წამომწყები ვასილი ალოშინი იყო, მაგრამ სასამართლოში ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა დაზარალებულის მიერ დამოწმებული მინდობილობა, რაზეც ალიოშინმა უთხრა, რომ ის ადამიანი ოცდაათი წლის წინათ გარდაიცვალა. თუ ასეა, თქვენს განცხადებას მით უფრო ვერ მივიღებთო, — უპასუხეს. ამის შემდეგ თანაკლასელებმა გადაწყვიტეს, თვითონ იმ უვაროვასთან მისულიყვნენ, მაგრამ იფიქრეს, ტყუილად დაუწყებდნენ იმ ქალს ამაზე ლაპარაკს და მასთან სკოლის ის სამხედროს მასწავლებელი გააგზავნეს, რომელიც ომამდეც იმ სკოლაშიც მუშაობდა და ომის შემდეგაც. მივიდა ის კაცი უვაროვასთან და ეუბნება:

— რატომ წერთ, რომ იმ სკოლაში მასწავლებელი იყავით?! თქვენ ხომ იქ არასოდეს გიმუშავიათ!

— რა იცით, იქნებ დავდიოდი იქ?

— ჰო, მაგრამ, იმ სტატიაში ხომ ერთი სიტყვაც არ არის მართალი?

— დიდი ამბავი! მალე წიგნსაც გამოვცემ.

— წიგნს, რომელიც ისევ იმ ცილისწამებებით იქნება სავსე?!

— მერე რა, ახლა ამას დიდი გასავალი აქვს.

და გამოსცა კიდევაც უფრო მეტი და უფრო დიდი სისაძაგლეებით სავსე ვაიწიგნი ქალბატონმა უვაროვამ.

* * *

„ზავტრა“: როგორ ექცეოდნენ ვასილის მასწავლებლები? ხომ არ ეშინოდათ ცუდი ნიშნების დაწერის?

ა. ს. შეიძლება ცოტას უმატებდნენ, ამრგვალებდნენ ნიშნებს, მაგრამ, როცა ისტორიის მასწავლებელმა — მარტიშევმა ორიანი დაუწერ და დირექტორმა ნიშნის გადასწორება მოსთხოვა, ხოლო მასწავლებელმა იმაზე უარი უთხრა, რასაც მათ შორის კონფლიქტი მოჰყვა, რის შემდეგაც მარტიშევმა ეს ყველაფერი სტალინს მისწერა. მალე წერილზე მან იოსებ ბესარიონის ძისაგან პასუხი მიიღო, სადაც ის ვასილის ადანაშაულებდა, ხოლო მარტიშევს ობიექტურობისა და პრინციპულობისთვის მადლობას უხდიდა... ისე რომ, ბოლოს თვითონ სკოლის დირექტორს შეექმნა პრობლემა. რაც შეეხება ვასილის, ზამთრის მთელ ამ არდადეგებზე (ეს იყო 1937-1938 წლები) ისტორიაში მეცადინეობა და საგნის ხელმეორედ ჩაბარება მოუწია. თვითონ ვასილი ნაწყენი არ იყო მასწავლებელზე — პატიოსანი ადამიანია, არ შეეშინდაო... თვითონაც გაბედული ბიჭი იყო და სხვებშიც აფასებდა ამას.

ამბობენ, სვამდა, დალევა უყვარდაო... დიახ, მართალია, სვამდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცუდი ადამიანი იყო... ერთხელაც ვსხედვართ ერთად და ვსვამთ. რომ დავლიეთ და ვასილიმ კიდევ დაისხა, მე ის შევაჩერე, ვუთხარი, საკმარისია-მეთქი, რაზეც ასე მიპასუხა: „აბა, რა ვქნა? მხოლოდ ორი გამოსავალი მაქვს — ან ტყვია უნდა დავიხალო, ან უნდა ვილოთო. მე ხომ მანამდე ვიქნები ცოცხალი, ვიდრე მამაა ცოცხალი. მამა თვალებს დახუჭავს თუ არა, მეორე დღესვე სულს ამომხდიან ხრუშჩოვი და მალენკოვი. იცი კი როგორია ნაჯახის ქვეშ ცხოვრება? და აი, მეც ღვინით ვთავისუფლდები ამ აზრებისგან“... მართლაც, გარდაიცვალა თუ არა მარტში იოსებ ბესარიონის ძე, აპრილში ვასილი უკვე დაპატიმრებული იყო. თავიდან ჯერ ჰოსპიტალში მოათავსეს, ისე რომ, შეგეძლო, შესულიყავი მასთან და მოგენახულებინა, თუმცა თვითონ შენობიდან გამოსვლის უფლება არა ჰქონდა. მალე გაასამართლეს „სამშობლოს ღალატისა“ და „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (მთელი მისი ღალატი კი ის იყო, რომ ხრუშჩოვი მოიხსენია ცუდად, ხოლო ბოროტად გამოყენებაში მის მიერ ანგარიდან მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომამდე გაკეთებულ მანეჟსა და საჯინიბოს გულისხმობდნენ. გარდა ამისა, „ბოროტად გამოყენებულად ჩაუთვალეს ისიც, რომ მან ცხენოსანთა სპორტული გუნდი შექმნა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ საკავშირო გუნდი გახდა და ოლიმპიადაშიც მიიღო მონაწილეობა... იმის გამო, რომ ჩვენთან ქვეყანაში ოლიმპიადისთვის ორმოცდაათმეტრიანი აუზი არ იყო, გადაწყვეტილი ჰქონდა, აეშენებინა ასეთი აუზი. აი, მთელი მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

— ვასილის რა ჯილდოები ჰქონდა?

— მართალია, ბევრნი მასზე გაცილებით ცუდად მუშაობდნენ, ჯილდოები კი გაცილებით მეტი ჰქონდათ, მაგრამ თვითონ ასე ამბობდა, თუ დამაჯილდოებენ, ეს ჯილდო მარტო ჩემი კი არა, მამასიც იქნება, თუმცა, ყველამ კარგად იცის, რამეს რომ გაჩუქებენ, საჩუქარს საჩუქრით უნდა უპასუხო. მამაჩემის მდგომარეობის ადამიანისათვის კი საპასუხო საჩუქარი ათასჯერ უკეთესი უნდა იყოს... ისე რომ, ვიდრე ჩემი ბიჭები არ დაჯილდოვდებიან, ჩემ დაჯილდოებაზე ლაპარაკიც არ ღირსო.

ისე, ჰქონდა ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, თუმცა იმ ორი ოდენიდან ერთზე მისი გვარი მინიშნებული არ იყო... 1941 წელს მცენსკის აეროდრომზე ბომბდამშენები შემოფრინდნენ. ვასილი იმ თვითმფრინავით, რომელიც სავსე არ იყო საწვავით, ბომბდამშენებისკენ გაფრინდა, პირდაპირ თვითმფრინავის შუბლით დაეტაკა და გაყარა. არმიის გენერალმა ის ჰაერშივე დაინახა და აი, ამ მფრინავს წითელი ვარსკვლავის ორდენით დავაჯილდოვებო, — განაცხადა... თვითმფრინავი მიწაზე რომ დაეშვა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, ვინ იყო და რა გვარისა იყო მფრინავი... ვასილის მაშინ ალექსანდრე ნეველისა და ორი პოლონური ორდენი უკვე ჰქონდა.

იყო უპატიოსნესი ადამიანი, გულადი, ერთგული, თავდადებული და უანგარო. იცხოვრა ტრაგიკული ცხოვრებით, ადამიანურად დასაფლავებაც არ ეღირსა, რითან მოკვდა და რა იყო მისი სიკვდილის მიზეზი, ცნობილი არ არის. ის, რომ გვამი არ გაკვეთეს, ყველამ იცის, ასე მაშინ იქცევიან, როცა სიმართლის გამჟღავნება არ უნდათ... მიცვალებულთან გამომშვიდობების უფლება არც ცოლს მისცეს, არც ქალიშვილს, რომელიც ამბობდა, რომ სხეულზე მამამისს რაღაც ნაკვალევები ეტყობოდა. ცოლს უნდოდა მიცვალებულისათვის კიტელი გაესწორებინა, მაგრამ, მაშინვე იქაურობას მოაცილეს, რის შემდეგაც მიცვალებული სასწრაფოდ ყაზანში დაასაფლავეს... წესით, ნოვოდევიჩზე — დედის, ბებიის, ბიძების გვერდით უნდა გადაესვენებინათ და იმედი მაქვს, ოდესმე ეს ასედაც იქნება.

იაკობი

„ზავტრა“: სტალინის უფროსი ვაჟი — იაკობი ოჯახში მამასთან ცხოვრობდა?

იაკობი ქალიშვილ გალიასთან ერთად

ა.ს: 1921წელს თოთხმეტი წლის იაკობი საქართველოდან მოსკოვში ჩამოვიდა. ბოლომდე არც განათლება ჰქონდა მიღებული, არც რუსული ენა იცოდა კარგად. ცხოვრობდა მამის სახლში, მაგრამ იქ მას თავისი ოთახი არ ჰქონდა. დერეფანი ფანჯრებად იყო ქცეული — იქ ფანჯარა, აქ ფანჯარა, აქ კარი, მოკლედ, ნამდვილი ლაბირინთივით იყო, იდგა მაღალზურგიანი დივანი, რომელიც ფარდის მაგივრად ზეწრით იყო გამოყოფილი. იმ დივანზე იაშას ეძინა. მეცადინეობა თუ მოუნდებოდა, დივანთან იქვე მაგიდაც იდგა, ისე რომ ეს სასადილოც იყო და საძინებელიც. ისე, ყველა ერთად არ სადილობდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რაღაც მიზეზის გამო სუფრა საგანგებოდ გაეწყობოდა ყველასათვის. საჭმელი ჩვეულებრივი საინებით გაჰქონდათ ოთახებში და იქიდან ცარიელი თეფშები გამოჰქონდათ.

გავიდა დრო და იაშას გოგო შეუყვარდა, მაგრამ იმის გამო, რომ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა, ორივემ თავის მოკვლა გადაწყვიტა, თუმცა გოგომ ვერ გაბედა, ისროლა მხოლოდ იაშამ და დაიჭრა... ამბობენ, სტალინი იცინოდა, თავის მოკვლაც კი ვერ შეძლოო, მაგრამ, ვინ გაიგო, ვინ მოისმინა ეს საკუთარი ყურით? როდის ან სად ჩაიწერეს ეს ახლანდელმა ცრუპენტელა ენატარტარებმა? ამ ამბის შემდეგ იაშა საერთო საცხოვრებელში გადავიდა, მაგრამ მალე ის ლენინგრადში წავიდა, სადაც ერთხანს პაპასთან — სერგეი იაკოვლევიჩ ალილუევთან იცხოვრა, თუმცა რაღაც დროის შემდეგ ისევ მოსკოვში დაბრუნდა. სწავლობდა საინჟინრო ინსტიტუტში. სტალინთან სახლში ძალიან ხშირად დადიოდა. ვასილის იქ თავისი ოთახი ჰქონდა, მივიდოდა იაკობი, დაჯდებოდა სკამზე ვასილის ოთახში და დრო თუ ჰქონდა, დაელოდებოდა მამას. ვასილის უყვარდა იაშა, საერთოდაც, იაშა ძალიან საყვარელი ახალგაზრდა იყო, თუმცა იაშას უფრო მეტად უყვარდა ვასილი, იქნებ იმიტომ, რომ სვეტლანაზეც და ვასილიზეც გაცილებით უფროსი იყო. ისე კი, სვეტლანასაც ძალიან უყვარდა იაშა.

— სტალინის ორივე ვაჟიშვილი სამხედროები იყვნენ, ომში ორივე იბრძოდა, თუმცა, იაკობი ომიდან ვერ დაბრუნდა, ომში დაიღუპა. მაინც რაში გამოიხატებოდა მათ ოჯახში ბიჭის მამაკაცური აღზრდა?

— ბავშვები, როგორ ბანალურადაც არ უნდა იყოს ნათქვამი, მამის მაგალითზე ვიზრდებოდით. იოსებ ბესარიონის ძე თავაუღებლად შრომობდა და ჩვენც გვაჩვევდა შრომას. არავითარი „არ მინდა“, არავითარი ჭირვეულობა. მაგალითად, შენს წინ საინი დგას, ესე იგი, ბოლომდე უნდა მოასუფთაო; არ შეიძლება ყოველ უბრალო წყენასა და ტკივილზე იტირო, ცრემლები აღვარღვარო... სტალინის მაგალითი ჩვენთვის იმდენად საპატიო იყო, იმდენად დიდ რამეს ნიშნავდა, რომ ყველას გვინდოდა მას დავმსგავსებოდით, მისი მოწონება დაგვემსახურებინა.

დაბადების დღეები სტალინის ოჯახში

„ზავტრა“: როგორ აღნიშნავდნენ ოჯახის წევრებისა და თავად სტალინის დაბადების დღეებს მის ოჯახში?

ა.ს: დაბადების დღეები იმ ოჯახში, ვისაც არ უნდა ყოფილიყო, დიდი ზარ-ზეიმით არ აღინიშნებოდა. 1928 წელს შვიდი წლის რომ გავხდი, ჩემი დაბადების დღისთვის სტალინი მოვიდა სახლში და მეუბნება: „არის ერთი ასეთი წიგნი — „რობინზონ კრუზო“, რომელიც დანიელ დეფომ დაწერა. მასში აღწერილია, ხომალდის დაღუპვის შემდეგ კაცი უკაცრიელ კუნძულზე როგორ აღმოჩნდა და როგორ ცხოვრობდა იქ მარტოდმარტო. ის კაცი ძალიან ძლიერი იყო, ამიტომაც სულით არ დაცემულა, რაც კი საჭირო იყო ამ ვითარებისათვის, ყველაფერი შეისწავლა და მერე სხვასაც ასწავლა. სულით რომ დაცემულიყო, მხრები რომ ჩამოეყარა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო, და ის წიგნი მაჩუქა... 1929 წელს საწერი მოწყობილობა და კიპლინგის წიგნი —„მაუგლი“ მომიტანა და მომიყვა, ბიჭუნა ტყეში მხეცებს შორის როგორ მოხვდა და მერე ის მხეცები მისი მეგობრები როგორ გახდნენ. თუ შენ მეგობრები გიყვარან და პატივს სცემ, ისინიც ყოველთვის დაგეხმარებიან და დაგიცავენ... თუ მეგობრები არ გვყვანან, თუ არავინ გიყვარს და არავის უყვარხარ, როცა გაგიჭირდება, მძიმე წუთებში არავინ დაგეხმარება და დაიღუპებიო... 1933 წელს დაბადების დღეზე პორტატული პატეფონი და ფირფიტები მაჩუქა, ფირფიტებზე კლასიკური მუსიკა, რუსული ხალხური სიმღერები, არიები ოპერა „გრაფი ლუქსემბურგიდან“, სამხედრო მარშები, ვაგნერის მუსიკა, ვალსი „მადლობა ყვავილებს“, სიმღერა „მანჯურიის სოპკაზე“ და „ვარიაგები“ იყო ჩაწერილი.

— ის ფირფიტები თვითონ იყიდა თქვენთვის სპეციალურად?

— არ ვიცი. პატეფონი და ფირფიტები ჩემოდანზე ელაგა. ფირფიტებიც და პატეფონიც ახლაც ჩემთანაა მთელი და დაუზიანებელი...

1930 წელს ვასილისა და მე დაბადების დღეები ქალაქში გადაგვიხადეს. ნადეჟდა სერგეევნამ ახალგაზრდა ალექსანდრ ფეოდოროვიჩ ლუშინი დაპატიჟა. ლუშინს უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ძალიან უყვარდა თეატრი და შესანიშნავად ხატავდა. ბოლოს დაამთავრა სამხატვრო აკადემია და ოცდაათ წელიწადზე მეტი სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრების მთავარ მხატვრად მუშაობდა, გახდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ჩვენთან რომ მოვიდა, აგვიხსნა, როგორ უნდა შეგვექმნა ჩრდილების თეატრი. პირველ რიგში ეკრანისთვის გავამზადეთ ლივი, გამოვჭერით პუშკინის ზღაპრის —„ხუცესი და ბალდას“ გმირების პატარა ფიგურები. ვასილი ძალიან ხელმარჯვე იყო და ყველა ფიგურა შესანიშნავად გამოუვიდა, ისე რომ, ჩვენი დაბადების დღისთვის პიესა უკვე მზად იყო.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-129

ოლიმპიელთა პირველი ჯგუფი ბრაზილიაში გაემგზავრა

გუშინ გამთენიისას საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პირველი ნაკადი რიო დე ჟანეიროში გაფრინდა.

ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე ეტაპად მიემგზავრებიან, პირველები კი რიოში მწვრთნელებთან და ფედერაციების წარმომადგენლებთან ერთად ძიუდოისტები, ტყვიის მსროლელები, მშვილდოსნები, მძლეოსნები, მოცურავეები, ბატუტზე მხტომელი, მხტვრული ტანმოვარჯიშე, მოფარიკავე და ძალოსანთა ნაწილი წავიდნენ.

საქართველოს ოლიმპიური გუნდი კომპანია „ლუფტჰანზას“ ლაინერით გაფრინდა მიუნჰენში, იქიდან კი რამდენიმე საათში დელეგაციამ რიო დე ჟანეიროსკენ აიღო გეზი, სადაც ოლიმპიელები რიოს ოლიმპიურ სოფელში დაბინავდნენ და ოლიმპიადის დაწყებამდე დასკვნით შეკრებებს სწორედ იქ გაივლიან. ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონია 2 აგვისტოს 09:30 წუთზე გაიმართება, გახსნის ცერემონია კი 5 აგვისტოს „მარაკანას“ სტადიონზე ჩატარდება.

ყველაზე ადრე თამაშებში მშვილდოსნებს უწევთ გამოსვლა, რომლებსაც 4 აგვისტოს ოფიციალური ვარჯიში ექნებათ, 5-ში კი, ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე რამდენიმე საათით ადრე, საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. 6 აგვისტოდან თამაშებში ძიუდოისტები, ტყვიის მსროლელები და ჩოგბურთელები ჩაებმებიან.

რიოსკენ 4 აგვისტოს აიღებენ გეზს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები, ძალოსანთა მეორე ნაწილი და ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი. ოლიმპიადაზე სულ ბოლონი 8 აგვისტოს გაფრინდებიან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, ასევე კანოეთი მოასპარეზე ზაზა ნადირაძე.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს 39 სპორტსმენი წარმოადგენს სპორტის 13 სახეობაში. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოლიმპიადაზე პირველად გვყოლებიან სპორტსმენები ქალთა ძიუდოში, კანოესა და მარათონში. 1996 წლის შემდეგ მონაწილე არ გვყოლია ფარიკაობაში, ხოლო 2000 წლიდან – მხატვრულ ტანვარჯიშში. ოლიმპიურ თამაშებზე 39 სპორტსმენი სარეკორდო მაჩვენებელია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მერვე ოლიმპიადაზე გამოვა ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, მეოთხეზე – მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძე, მესამეზე – ბატუტზე მხტომელი ლუბა გოლოვინა და მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა. ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა ნინო სალუქვაძის შვილი, 18 წლის ტყვიის მსროლელი ცოტნე მაჭავარიანი, რომელიც აღნიშნულ ფორუმზე ნათხოვარი(!) იარაღით იასპარეზებს. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა სპორტსმენის სტატუსით ერთდროულად მონაწილეობენ დედა და შვილი.

ჩვენს ოლიმპიურ დელეგაციაში 2 ოლიმპიური ჩემპიონია (ნინო სალუქვაძე – 1988, ლაშა შავდათუაშვილი – 2012). საქართველოს მედროშე გახსნის ცერემონიაზე ძიუდოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი იქნება.

5 აგვისტოდან ოლიმპიური თამაშების პირდაპირ ტელეტრანსლაციებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

გიორგი შოთაძე

ხინჩეგაშვილს ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი ჩამოშორდა, საერთოდ კი რუსულ ოლიმპიურ დელეგაციას კიდევ 17 სპორტსმენი გამოაკლდა

***რუსების** სიხარული, რომელიც მათ ოლიმპიადაზე დაშვებას უკავშირდებოდა, ნაადრევი გამოდგა. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვერდიქტიდან მე-2 დღესვე დაიწყო ომ სპორტსმენთა დასახელება, რომლებიც რიოში მაინც ვერ გაემგზავრებიან.*

შეგახსენებთ, რომ სოკ-მა თავის გადაწყვეტილებას დიდი ჩამონათვალიც მოაყოლა, რომლის მიხედვითაც რუსული დელეგაციის გაცხრილვა მოხდებოდა. და აი, უკვე გუშინ ცნობილი გახდა, რომ რიოს საგზურები ერთბაშად 17 რუს სპორტსმენს ჩამოერთვა. ამასთან, როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალექსანდრე ჟუკოვმა განაცხადა, დასჯილების სხვა ლიცენზირებული სპორტსმენებით ჩანაცვლება ვეღარ მოხერხდება.

ყველაზე მეტად მოცურავეთა გუნდი დაზარალდა, რომელსაც ფაქტობრივად ყველა ლიდერი ჩამოაშორეს. მიხეილ დოვგალიუკი, იულია ეფიმოვა, ნატალია ლოვცოვა და ანასტასია კრაპივინა დოპინგ-სკანდალებში ადრევე იყვნენ გარეულნი, ნიკიტა ლობინცევი, ვლადიმერ მოროზოვი და დარია უსტინოვა კი იმ დასკვნაში მოხვდნენ, რომელიც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) დამოუკიდებელი კომისიის თავმჯდომარე რიჩარდ მაკლარენმა გაახმაურა.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა, რიოს ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრებიან ველოსიპედები ილნურ ზაკარინი, კირილ სვეშნიკოვი, სერგეი შილოვი და ოლგა ზაბელინსკაია, ნიჩბოსნები ივან პოდშივალოვი და ანასტასია კარაბელშჩიკოვა, ძალოსნები ანასტასია რომანოვა და ტატიანა კაშირინა და თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვიქტორ ლებედევი.

ამ ორ უკანასკნელზე განსაკუთრებით უნდა ითქვას. კაშირინა მხოლოდ 25 წლის გახლავთ, თუმცა, მძიმე წონაში უკვე 4-გზის მსოფლიოს ჩემპიონი, 6-გზის ევროპის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია. შედარებისთვის ისიც ვთქვათ, რომ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ტატიანამ უმთავრეს კონკურენტ ჩინელ სუპინგ მენგს 8 კგ-ით აჯობა. რუს ძალოსანსვე ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდები როგორც ატაცში, ასევე აკვრასა და ორჭიდში.

იოლი მისახვედრია, რომ კაშირინას გამოკლებით რუსულმა დელეგაციამ თითქმის უეჭველი ოქროს მედალი დაკარგა, რისი მიზეზიც ტატიანას 10 წლის წინანდელი ცუღლუტობა გახდა. რუსი ძალოსანი მხოლოდ 15 წლის იყო, როდესაც ანტიდოპინგური წესები დაარღვია და იმ თითქოსდა დავიწყებულმა ფაქტმა თავი ძალიან ცუდ დროს შეახსენა. მოგეხსენებათ, სოკ-ი ოლიმპიადაზე არცერთი იმ რუსი სპორტსმენის დაშვებას არ აპირებს, რომელთაც კარიერის განმავლობაში თუნდაც ერთხელ დოპინგთან პრობლემები ჰქონიათ, ჰოდა, გოლიათი კაშირინაც მათ შორის მოხვდა.

აი, ვიქტორ ლებედევის ამბავი კი ქართველი ქომაგისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ იაკუტსკელი სპორტსმენი 57 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობს, ანუ იქ, სადაც საქართველოს ნაკრების ღირსებას მოქმედი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი იცავს.

28 წლის ლებედევი მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონია, ლას ვეგასში გამართულ გასულ მსოფლიო პირველობაზე კი, სადაც ოქროს მედალი ხინჩეგაშვილმა მოიპოვა, ის „ბრინჯაოს“ დასჯერდა. რუსმა ნახევარფინალი სწორედ იმ ირანელ ჰასან რაჰიმისთან დათმო (0:5), რომელსაც დრამატულ ფინალში ლადომ 5:4 სძლია.

საინტერესოა, რომ ლებედევის ოლიმპიადაზე მოხვედრას წინ დიდი სკანდალი უძღოდა, რომელმაც სტრტი მაისში ციმბირში გამართულ რუსეთის ჩემპიონატზე აიღო.



57 კგ-ში ფავორიტებად, ლებედევის გარდა, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ჯამალ ოთარსულთანოვს (ფინალში მან ხინჩეგაშვილს 1:0, 4:3 სძლია) და ალექსანდრე ბოგომოლოვს ასახელებდნენ.

ვინაიდან შეჯიბრი ლებედევის მშობლიურ ქალაქში ტარდებოდა და, ამასთან, ის სახა-იაკუტიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ეგორ ბორისოვის სიძეა, თავიდანვე იყო ვარაუდი, რომ ვიქტორის გასაჩემპიონებლად ყველაფერი გაკეთდებოდა. ასეც მოხდა. უკვე მეოთხედფინალში ლებედევს დაღესტნის სახელით მოჭიდავე ისმაილ მუსუკაევთან ფრიად საეჭვო ქულები მიანიჭეს, რასაც ბრძოლის დასრულებისთანავე ჩხუბი მოჰყვა და სამართალდამცავებმა ლეიბის ხალხისგან განთავისუფლება ძლივს მოახერხეს.

დაღესტნის გუნდმა ეს უსამართლობა ვერ აიტანა და დანარჩენ წონებში მათი წარმომადგენლები საჭიდაოდ აღარც გასულან, ლებედევს კი ფინალში ხელი ერთხელაც წააშველეს. ხსენებულ ბოგომოლოვთან შერკინებისას მსაჯების სიმპათიები ისევ მასპინძლის მხარეს იყო, რამაც დარბაზში აღშფოთება ერთხელაც გამოიწვია. საბოლოოდ ვიქტორმა ჩემპიონობა მაინც მოიპოვა და, მართალია, მოგვიანებით თითქოს სინდისის ქენჯნა იგრძნო და რიოში გამგზავრებაზე უარს ამბობდა (ასეთ ფასად გამარჯვება არ მიღირსო), ოლიმპიურ გუნდში მაინც აღმოჩნდა.

ლებედევს ცოდვებმა მაშინ უწია, როდესაც, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ელოდა. რუს ფალავანს სოკ-მა 2006 წლის შემთხვევა გაუხსენა. მაშინ ვიქტორმა იუნიორთა ჩემპიონატში იასპარეზა, თუმცა, სისხლში ბოლდენონის კვალი აღმოაჩნდა და მედლის დაბრუნება მოუხდა, ამას გარდა კი ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მოიხადა. ამგვარად, ლებედევი სოკ-ის მიერ შერისხულთა სიაში აღმოჩნდა და მისთვის პირველი, რიოს ოლიმპიური თამაშები გვერდზე დაურჩა. ფაქტია, რომ მისი არყოფნით ხინჩეგაშვილს ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი ჩამოშორდა.

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

მარკოიშვილის შემდეგ – შენგელია

ათენის „პანათინაიკოსი“, რომელიც მცირე ხნის წინათ მანუჩარ მარკოიშვილის ტრანსფერს გეგმავდა, ამჯერად თორნიკე შენგელიათი დაინტერესდა. ამ ინფორმაციას Eurohoops.net ავრცელებს.

24 წლის ქართველი კალათბურთელი ამჟამად „ლაბორალ კუჩაში“ ირიცხება და ესპანურ კლუბთან კონტრაქტი 2016-17 წლების სეზონისთვისაც აქვს გაფორმებული. სხვა საქმეა, რომ, არსებული ინფორმაციით, ბასკებს შენგელიას მიმართ სახელფასო დავალიანება გააჩნიათ და ბერძნულ გრანდსაც ამის იმედი აქვს.

ელადელები გათვლას იმაზე აკეთებენ, რომ ქართველი ფორვარდი კუთვნილ თანხაზე უარს იტყვის, სამაგიეროდ კი „ლაბორალ კუჩა“ მის გაშვებას დათანხმდება.

საინტერესოა, რომ შენგელია „ლაბორალ კუჩას“ უკვე მე-3 კალათბურთელია, რომლითაც მიმდინარე ზაფხულში „პანათინაიკოსი“ დაინტერესდა. „მწვანეებმა“ უკვე გადაიბირეს ბერძენი ცენტრი იოანის ბურუსისი და ამერიკელი გამთამაშებელი მაიკ ჯეიმსი.

თორნიკეს შემატების შემთხვევაში ათენელებს საკმაოდ ძლიერი წინა ხაზი ეყოლებათ: ბურუსისის გარდა ქართველ ფორვარდს გუნდში ანტონის ფოცისი, ჯეიმს გისტი და კრის სინგლეტონი დახვდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

კიდევ ერთი „ბორჯღალოსანი“ პრემიერშიპში

ახალი სეზონის მოლოდინში „ბრისტოლმა“, რომელიც წელს ინგლისურ ავივა პრემიერშიპში ქვედა დივიზიონიდან ამოვიდა, ხელშეკრულება „ბორჯღალოსან“ გიორგი ნემსაძესთან გააფორმა, რითაც მეორე „ბორჯღალოსანი“ შეიქნა“, ვინც პრემიერშიპში ითამაშებს – შეგახსენებთ, რომ შარშან „ვუსთერ ვორიორზში“ სათამაშოდ ჯაბა ბრეგვაძე გადავიდა.

გიორგი ნემსაძემ, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული „ბორჯღალოსანია“, 62 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა, იასპარეზა 2011 და 2015 წლების მსოფლიო თასებზე და წლევანდელი წარმატებული ოკეანეთის ტურნეს ერთ-ერთი მონაწილე იყო. ნემსაძე, რომლის სარაგბო კარიერა ქუთაისის „აიაში“ დაიწყო, წლების განმავლობაში საფრანგეთში თამაშობდა. ბოლოს იგი პრო დე 2-ის კლუბ „ტარბიში“ ირჯებოდა. „გიორგი შესანიშნავად მოერგება პრემიერშიპს. იგი მძიმე და უხეშია, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული შერკინების ბოლოდროინდელ წარმატებებში,“ – განაცხადა „ბრისტოლის“ მთავარმა მწვრთნელმა ენდი რობინსონმა.

კობა კობახიძე

◎ ინტიმ-კლუბი

სიმყარეები

სექსუალური ურთიერთობებისგან სიამოვნების მიღების საყოველთაოდ მიღებული საზომია ორგაზმი, რომელსაც ხშირად ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მომენტს ადარებენ. მაშ, რატომაა, რომ ხშირად მისით კი არ ვტკბებით, არამედ იმიტაციას ვახდენთ?



რეალობა თუ იმიტაცია?

ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ სექსუალური დაკმაყოფილების გარეგნული იმიტაცია (გახშირებული სუნთქვა, უკონტროლო ხვანცალი, კვნესა და ა. შ.), მაგრამ, თუკი ქალს, თავისი ფიზიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, შეუძლია ჭეშმარიტი სიამოვნების მიუღებლობის დამალვა, მამაკაცისთვის სრულფასოვანი ორგაზმის დამალვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ამის მიუხედავად, სექსოლოგებს მიაჩნიათ, რომ 30-40 წლის ასაკში მამაკაცების 30 პროცენტი დროდადრო ორგაზმის იმიტაციას ახდენს. ასაკთან ერთად მათი რიცხოვნობა იზრდება, იმიტომ, რომ ორმოცი წლის შემდეგ მამაკაცთა სექსუალური აქტივობა კლებულობს, პარტნიორი ქალის თვალში თავის ყოჩაღად წარმოჩენის მოთხოვნა კი იზრდება.

რატომ თვალთმაქცობს მამაკაცი?

● ა). რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამო მამაკაცი ორგაზმის იმიტაციას ახდენს:

● **არ მინდა, ქალს ეგონოს, რომ ვბერდები.**

● მაგრამ! იცოდეთ, ნამდვილად არ გეშველებათ, თუ ფიქრობთ, რომ თქვენს ქალს ჰგონია, თითქოს ლოგინში მუდამ მარადიულად „ყოჩაღად“ იქნებით. ამდენად, ორგაზმის იმიტაცია ამ შემთხვევაში პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამიტომაც ეცადეთ, გააფართოვოთ სექსუალურ ექსპერიმენტთა დიაპაზონი, საშუალება მიეცით ქალს, დროდადრო ინიციატივა საკუთარ ხელში აიღოს.

● **მინდა, რომ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო.**

● მაგრამ! მამაკაცს ელემენტარულად არ შეუძლია, მუდამ ერთნაირად ჩინებულ ფორმაში იყოს. მისი სექსუალობა — ძალიან მგრძნობიარე მექანიზმია, რომელიც აუარება რამეზეა დამოკიდებული: ცუდი ამინდი, სტრესი, ნერვული გადაღლა და ბევრი სხვა იმის მიზეზი შეიძლება გახდეს, იმის მიზეზი, რომ ასე სასურველი ორგაზმი, შესაძლოა, არ დადგეს. ამიტომაც უმჯობესია, რომ ეს დროებით წარუმატებლობად აღიქვათ. ორგაზმის იმიტაციას კი სიმსუბუქისა და დაკმაყოფილების მაგივრად შეუძლია დათრგუნვისა და განგაშის გრძნობის გამოწვევა.

● **ხშირად ორგაზმები სპერმის შეუვსებელ დანაკარგსა და სექსუალური ენერგიის ზედმეტ ხარჯვას იწვევს.**

მაგრამ! ამ ჰიპოთეზის ავტორები ძველი ჩინელი დაოსელი ფილოსოფოსები არიან, თუმცა კი პრაქტიკა საპირისპირო შედეგს გვიჩვენებს. ორგანიზმს არ უყვარს ზედმეტი სამუშაოს შესრულება, ამიტომაც რაც ნაკლებ სპერმას დახარჯავს მამაკაცი, მით უფრო ნაკლებს გამოიმუშავებს მას ორგანიზმი. ამდენად, სიამოვნების იმიტაციით, თქვენ თავს ხიფათს უქმნით, რომ შემდგომში სრულფასოვანი ორგაზმი ველარ მიიღოთ.

● **ქალი ჩემს ორგაზმს იმიტომ ითხოვს, რომ თავისი სექსუალობის დამადასტურებელი საბუთი ჰქონდეს.**

● მაგრამ! ქალისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ სექსუალურად მიმზიდველი და მომხიბლავია, უამრავი სხვა ხერხი არსებობს. მისდამი ყურადღებას მარტო საძინებელ ოთახში კი ნუ გამოიჩენთ, ამის გაკეთება ყველა ხელსარყელ და, გნებავთ, მოულოდნელ ადგილას შეგიძლიათ — თუნდაც ტელეფონით საუბრისას, სტუმრად ყოფნისას და ა. შ. ყურადღების პატარ-პატარა ნიშნები მას არანაკლებ სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე წარმოიდგინეთ, ყველაზე ვნებიანი სექსი.

ქალბატონებო, თავს სამსხვერპლოდ ნუ გასწირავთ!

ბევრი ქალი პარტნიორთან კონტაქტისგან სიამოვნების მიღებას მხოლოდ მშობიარობის შემდეგ იწყებს, მანამდე კი, ნებსით თუ უნებლიეთ, მამაკაცს „წითელ კოჭს“ უგორებს, რადგან მისი უკმაყოფილების გამოწვევა არ სურს, ანდა, სულაც, მარტო დარჩენისა ეშინია. ასაკის მატებასთან ერთად „სექსუალურად თვალთმაქც“ ქალბატონთა რიცხვი მატულობს, რადგან კარგი საყვარლის სტატუსისა და საკუთარი ძალების რწმენის შესანარჩუნებლად, ქალი მამაკაცის დახმარებას ცდილობს.

მაინც, რატომ იტყუება ქალი?

არის რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამო ქალი ორგაზმის იმიტაციას ახდენს.

მინდა, მას სიამოვნება მივანიჭო.

მაგრამ! ხომ არ გავიწყდებათ, რომ სექსი — ესაა ორი პირის ერთიანი სიხარული? როცა საკუთარ სიამოვნებას სამსხვერპლოზე დებთ, თქვენ — ადრე თუ გვიან, — სიამოვნების მიღების შესაძლებლობას საკუთარ პარტნიორსაც ართმევთ. ამიტომაც ეცადეთ, რომ სიამოვნება ორივემ მიიღოთ!

● **იგი ჩემი გულცივობით უკმაყოფილო იქნება.**

● მაგრამ! გახსოვდეთ? ქალის გულცივობა შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მამაკაცის „სექსუალური გაუწაფობის“ ბრალია. რაც უფრო დიდ ხანს თამაშობთ „სექსუალურ კეთილდღეობანას “, მით უფრო ნაკლები შანსი აქვს, თქვენს პარტნიორს აიმაღლოს თავისი სექსუალური პოტენციალი.

● **მინდა, რომ თავი საუცხოო საყვარლად იგრძნოს.**

● მაგრამ! არ გინდათ, აღიაროთ, რომ თქვენი პარტნიორი ლოგინში მთლად მოწოდების სიმაღლეზე არ იყო? მაშინ ეცადეთ და ისეთი სიტყვები გამონახეთ, რომ იგი მიხვდეს, რომ ეს ამბავი მხოლოდ წუთიერი წარუმატებლობაა, სამაგიეროდ სიყვარულის წინა ღამეები თქვენთვის დაუვიწყარი იყო!

● **მე მტკიოდა!**

● მაგრამ! ეს სულაც არ არის ორგაზმის იმიტაციის საბაბი! თუკი ტკივილის შეგრძნება რეგულარულად გიმეორდებათ, თავდაპირველად ამის მიზეზი უნდა გაარკვიოთ! მრავალი ვაგინალური ტკივილი ისეთ სნეულებათა შედეგია, რომლებსაც საგულდაგულო მკურნალობა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სქესობრივი სიახლოვისგან თავის შეკავება უნდა.

● **საკუთარი სქესობრივი დაკმაყოფილების დემონსტრაციით, მე მის სექსუალურ შესაძლებლობათა სტიმულირებას ვახდენ.**

● დიახ! ამ შემთხვევაში სავსებით მართალი ბრძანდებით! ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ტყუილი მაშველი რგოლივითაა. მამაკაცის თვითშეფასების დონე მკვეთრად ეცემა, თუკი მას საბაბი აქვს ეჭვი შეიტანოს საკუთარ სექსუალურ პოტენციალში. ამ დროს ნებისმიერ მამაკაცს სექსუალურ ფრონტზე საკუთარი წარუმატებლობა მოღვაწეობის სხვა სფეროებზე გადააქვს. ამდენად, როცა მისი დიდებული საყვარლის იმიჯს ამაგრებთ, თქვენ არა მარტო მინავლების შესაძლებლობას არ აძლევთ მის სექსუალურ აქტივობას, არამედ მისი შრომისუნარიანობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგახართ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რა უნდა ქნათ... თუ თვალთმაქცობს მამაკაცი

ამ ამბავს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ვინაიდან ამის მიზეზი, შესაძლოა, ბევრი იყოს, მათ შორის გადაღლა; ეაკულაციის შეკავება; ჯანმრთელობის გაუარესება.

უმჯობესია, კომენტარებისგან თავი შეიკავოთ და ნუ ეცდებით, დაიყოლიოთ ცდის გამეორებაზე. მეორე წარუმატებლობის შემთხვევაში, სექსუალური უძლურების შეგრძნება მას მხოლოდ გაუძლიერდება.

...თუ თვალთმაქცობს ქალი

თვალთძმაძცობის მიზეზის ძალთან გარკვევას აზრი აქვს, ოღონდ ის კი არ უნდა დაადანაშაულოთ, არამედ უნდა აუხსნათ, რომ იგი მოგეწონათ და გულახდილად გაარკვიეთ, რა არ მოსწონს თქვენს მოქცევაში და ეცადეთ, ხარვეზები გამოასწოროთ.

განცხადება მათთვის, ვინც თურქეთში ტურისტად აპირებს წასვლას

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თურქეთში ტურისტული მიზნით მიმავალი საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ განცხადებას ავრცელებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ტურისტული მიზნით გამგზავრების შემთხვევაში მუდამ თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

„თურქეთის რესპუბლიკაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, საგანგებო მდგომარეობა არ ვრცელდება ქვეყანაში ტურისტული მიზნებით მოგზაურობის მსურველ პირებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტროს მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტება, სადაც აღინიშნება, რომ 2016 წლის 21 ივლისს მთელს ქვეყანაში სამი თვით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს საკონსტიტუციო სამართლებრივი წესების ფარგლებში შემოღებული რეგულაციების პაკეტს, ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებთან სახელმწიფოს ბრძოლის საკითხში.

აღნიშნული რეგულაციების პაკეტი არ ითვალისწინებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვას. დაწესებული უსაფრთხოების ზომები არანაირ გავლენას არ ახდენს თურქეთის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებასა და თურქეთში ჩამოსული სტუმრების გადაადგილებასა და დასვენებაზე, არ ქმნის რაიმე სახის წინაღობას საერთაშორისო ტურიზმსა და საჰაერო გადაადგილებებზე. არ არსებობს რაიმე უარყოფითი მდგომარეობა,რომელიც გავლენას მოახდენს თურქეთის სხვადასხვა ადგილას მყოფი სტუმრების უსაფრთხო დასვენებაზე“, — აღნიშნულია თურქეთის რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტროს განცხადებაში.

მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი მნიშვნელოვნად გართულდება

2017 წელს მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკულ ნაწილში ცვლილებები განხორციელდება და არსებულ გამოცდას რამდენიმე კომპონენტი დაემატება. განცხადება ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა AMBEBI.GE-სთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მისი თქმით, ცვლილება ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს უკავშირდება:

„ვფიქრობთ, 2017 წლის მეორე ნახევარიდან მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა უნდა შეიცვალოს. ახლა შსს-ს მომსახურების სააგენტო ამაზე მუშაობს. დაახლოებით 2-3 ქვეყნის გამოცდილება ნახეს, სადაც ყველაზე მაღალი სტანდარტია ამ მხრივ. ვფიქრობთ, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი, რაც დღეს გვაქვს დარჩება და დაემატება უკვე პრაქტიკული გამოცდა რეალურ პირობებში, ქალაქში“, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

შს მინისტრის მოადგილის თქმით, გამოცდის ქალაქის პირობებში გადმოტანის შემთხვევაში, გარკვეული ქუჩები შესაბამისი ინფრასტრუქტურით უნდა აღიჭურვოს, რაც „ძალიან ძვირი პროექტია“.

„არის კიდევ რამდენიმე სხვა ალტერნატივა და ვფიქრობ, 2017 წლის მეორე ნახევარში, მაქსიმუმ 2017 წლის ბოლოსთვის, პრაქტიკული გამოცდა შეიცვლება. შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი მნიშვნელოვნად გართულდება“, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

განცხადება

2016 წლის 16 სექტემბერს, 13:00 საათზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ახალციხე შალვა ახალციხელის ქ. №2) გაიმართება ახალციხის მუნიციპალიტეტში, 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის — „მტკვარი ჰესი-500კვ ქ/ს ახალციხის“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს 3.276 კმ სიგრძის 220 კვ ძაბვის ეგხ-ს მშენებლობას, რომლის ექსპლუატაცია უზრუნველყოფს მშენებარე მტკვარი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● **ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ახალციხე შალვა ახალციხელის ქ. №2**

● **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

● **ეკატერინე თავთავაძე. ტელ: 599 414 777; E-mail: etavtavadze@hpp.ge ;**

● ნიკოლოზ სოფაძე ტელ: 597 72 88 71; **E-mail: nikasofadze@hotmail.com ;**

შპს „მტკვარი ჰესის“ ადმინისტრაცია

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!



„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

ლექსის სტრიქონი	– 1,5 ლარი,
მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი	– 30 ლარი,
პიესის თითო კომპიუტერული გვერდი	– 20 ლარი,
პუბლიცისტური წერილის გვერდი	– 25 ლარი,
ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე	– 15 ლარი,
რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი	– 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

ლარისას არც მარადონა დაიწუნებდა

პარაგვაელი მოდელი და მოცეკვავე ლარისა რიკელმე ვის არ აუფორიაქებს სულს და აუშლის გრძნობებს... ლათინოამერიკელი ლამაზმანით, სხვა მოკვდავთა გარდა, „ფეხბურთის ღმერთი“ – დიეგო არმანდო მარადონაც მოხიბლულა. როგორც გაირკვა, ლეგენდარული არგენტინელი პარაგვაელ ლამაზმანს კარიერის შექმნაში ძალიან დაეხმარა და დიეგომ რიკელმესაგან საპასუხო „საჩუქარიც“ რამდენჯერმე მიიღო.

მარადონას ლარისასათვის თვალი ჯერ კიდევ მაშინ დაუდგამს, როდესაც ამ ლამაზმანის შესახებ ასუნსიონშიც კი ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა. ეს დღე იყო და დაიწყო ლარისა რიკელმეს წარმატებების სერიაც.

როგორც იცით, მარადონა თავის მეუღლეს – კლაუდიას (რომელიც პარალელურად სერხიო აგუეროს სიდედრი გახლავთ) დაახლოებით 10 წლის წინათ ოფიციალურად გაშორდა და ახლა თავს უფლებას აძლევს, რომ გრძნობათა ჭიუხებში იმოგზაუროს. თუმცა, მარადონას ქალებისადმი სიყვარული იმდენად დაემსგავსა ლათინოამერიკული სერიალების შინაარსს, რომ ძნელია გაიგო, სად მთავრდება ჭორი და სად იწყება სიმართლე.

როსტომ რაჭველიშვილი.

კიბოს მტერი

ბროწეულის წვენის მოხმარება სარძევე ჯირკვლების კიბოს წარმოშობის ალბათობას აქვეითებს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბროწეულის მარცვლები ისეთ ნივთიერებას შეიცავენ, რომლის რეგულარული მოხმარება ჰორმონ ესტროგენის გამომუშავებას ანელებს. მისი სიჭარბე კი ორგანიზმში კიბოს უჯრედების გამრავლებას უწყობს ხელს.

პაპანაქების მენიუ

ზაფხულის პაპანაქება ორგანიზმისთვის სერიოზული გამოცდის დროა, რომელთან გამკლავებაში ხელს შეგიწყობთ სწორად შედგენილი კვების რაციონი.

სიცხეში ორგანიზმის ყველა შიდა ორგანოსა და სისტემის, მათ შორის საჭმლის მონელების სისტემის მოქმედება იცვლება.

წითელი ხორცისა და ცხიმების მომნელებელი ფერმენტები უფრო ცუდად გამომუშავდება, ამიტომაც ასეთი საკვების ათვისება უარესად ხდება. მეტიც: მათ, შესაძლოა, კუჭ-ნაწლავში ლპობის პროცესებიც კი გამოიწვიონ.

ამიტომაც ცხელ ამინდში უმჯობესია, ასეთ საკვებზე უარი თქვათ (ეს ფრინველის ხორცსაც ეხება) და აქცენტი რძის პროდუქტებსა და ხილ-ბოსტნეულზე გადაიტანოთ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ზაფხულის საკვები ძირითადად, ხილი და ბოსტნეული უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ უარი უნდა თქვათ ცხოველური ცილების მიღებაზე. ოღონდ უმჯობესია, თუკი მათ თევზეულის მსუბუქი კერძებიდან ან რძის პროდუქტებიდან მიიღებთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ სიცხეში კვების რეჟიმის შეცვლა არ ღირს – ისევე, როგორც წლის სხვა დროს, უმჯობესია საჭმელი პატარ-პატარა ულუფებით მიირთვათ, რაც კუჭ-ნაწლავის სისტემაზე დატვირთვას შეამცირებს და არც ზედმეტ კილოგრამებს შეგმატებთ.

უფრთხილდით მაღალ ქუსლებს!

ათ სანტიმეტრზე მაღალი ქუსლების ტარება კვირაში სამზე მეტჯერ, მნიშვნელოვნად ზრდის წვივების კუნთების დისბალანსის საფრთხეს, აცხადებენ მედიკოსები.

თავდაპირველად, მაღალ ქუსლებზე სიარულის ჩვევა ფეხის კუნთებს ამაგრებს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მათ დისბალანსს და ტრავმებს იწვევს. დისბალანსის დროს კუნთები იცვლიან თავიანთ ჩვეულ მდგომარეობასა და მუშაობის მიმართულებას, რაც ძვლების ერთმანეთზე გადაბმის ადგილების გასამაგრებლადაა საჭირო, უფრო ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებაზე, რის მიზეზი მუდმივი დაძაბულობაა.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“! გმადლობთ!

◎ ანეკდოტები

ფსიქიატრი ეუბნება პაციენტს:

– დაწექით ტახტზე, მოდუნდით და წყნარად მომიყევით თქვენი პრობლემების შესახებ.

– ექიმო, თქვენ ჩემი ბოლო იმედი ხართ! სასწრაფოდ უნდა მასესხოთ ათასი ლარი ერთი კვირით!

* * *

ახალგაზრდა კაცი სოფელში ჩავიდა მშობლების სანახავად.

– რას საქმიანობ, შვილო, ქალაქში?

– თვითმფრინავით დავფრინავ.

– ჰო, ეგ კარგი საქმეა, ოღონდ, ხომ იცი, გენაცვალე, სიფრთხილე გმართებს, ამიტომ რაც შეიძლება ნელა იფრინე და დაბლა!

* * *

მასწავლებელი: როგორ უნდა გავუყოთ ათი ქლიავი თერთმეტ ბავშვს ისე, რომ ყველას თანაბრად შეხვდეს?

მოსწავლე: მურაბა უნდა მოვხარშოთ!

* * *

როცა უფულობა იქამდე შეგაწუხებთ, რომ თავის ყულფში გაყოფა მოგინდებათ, ფსიქოლოგები ყავის დალევის რჩევას იძლევიან. ეს, ცხადია, ვერაფერს გიშველით, სამაგიეროდ, ყავას მაინც დააგემოვნებთ.

* * *

– **იცი,** სამსახურიდან შინ ისეთი მოთენთილი ვბრუნდები ხოლმე, რომ ძილის დროსაც კი მამთქნარებს!

* * *

ძალებისთვის საიდუმლოს ორი ნაირსახეობა არსებობს: ზოგიერთი მათგანი იმდენად უინტერესოა, რომ მათ შენახვას აზრი არა აქვს, ზოგიც იმდენად საინტერესოა, რომ მისი შენახვა შეუძლებელია.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.347; ევრო - 2.579;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.084;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.773;
აზერბაიჯანული მანათი - 1.471;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 27 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +16,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +29
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +29
თბილისი:	ღამე +20,	დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE